

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც დადგინდა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა

„კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (Kobeliანი v. Georgia)¹

№40022/05, 16 ივლისი, 2009 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში .. მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (საქმის განხილვა გონივრულ ვადაში);

სამართლიანი დაკმაყოფილება: 1 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

ფაქტები

2000 წლის 20 ივლისს განმცხადებლის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე ეკონომიკური დანაშაულის ბრალდებით. სასამართლო პროცესამდე იგი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. 2001 წლის 30 ივნისს პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება და საქმე განსახილველად ნინოწმინდის რაიონულ სასამართლოს გადაუგზავნა. 2005 წლის 18 იანვარს ასპინძის რაიონულმა სასამართლომ, რომელსაც გადაეცა განმცხადებლის საქმე, უსაყვედურა პროკურორს საბრალდებო დასკვნაში არსებული ხარვეზების და განმცხადებლის საქმიანობის ფინანსური აუდიტის განუხორციელებლობის გამო, და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად გაგზავნა. 2006 წლის 11 აგვისტოს განაჩენით განმცხადებელი ბრალად წაყენებულ დანაშაულში ცნობილი იქნა ნაწილობრივ დამნაშავედ, ნაწილობრივ კი გამართლებულ იქნა. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მსჯავრდების ნაწილში მისთვის სასჯელი არ დაუკისრებიათ. 2006 წლის 11 აგვისტოს განაჩენი ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 23 ოქტომბერს, ხოლო უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 15 მაისს.

¹ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kobeliანი.pdf>

კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე გაასაჩივრა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობა.

სასამართლოს შეფასება (§§15-19)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ მიუთითა იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც გამოიყენება საქმის განხილვის ხანგრძლივობის გონივრულობის შესაფასებლად. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ პირველ ინსტანციაში მიმდინარე სამართალწარმოების პერიოდი მეტისმეტად ხანგრძლივი იყო და არ აკმაყოფილებდა მე-6 მუხლით გათვალისწინებული „გონივრული ვადის“ მოთხოვნას.

„15. სასამართლო იმეორებს, რომ პერიოდი, რომლის მიხედვითაც ხდება სასამართლო წარმოების „გონივრული ხანგრძლივობის“ დადგენა, არ შემოიფარგლება უმოქმედობის კონკრეტული პერიოდით, არამედ მოიცავს აღნიშნული სასამართლო წარმოების მთლიან ხანგრძლივობას, აღძვრის მომენტიდან სისხლის სამართლის ბრალდების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (სხვა წყაროთა შორის, იხ. Pélissier and Sassi v. France [GC], no. 25444/94, §§ 66 and 73, ECHR 1999-II). წინამდებარე საქმეში კი ეს პერიოდი დაიწყო 2000 წლის 20 ივლისს და დასრულდა 2007 წლის 15 მაისს (იხ. §§ 5 და 6 ზემოთ). მოცემული განაცხადი შეტანილ იქნა 2005 წლის 29 სექტემბერს, ამდენად უარყოფილი უნდა იქნას მთავრობის პროტესტი ექვსთვიანი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით.

16. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე განაცხადი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის (§3) თანახმად. ის ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ არის დაუშვებელი არც რაიმე სხვა საფუძველით და ამდენად, უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

17. წინამდებარე საქმეზე სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობდა 6 წლის, 9 თვისა და 25 დღის განმავლობაში სამ ინსტანციაში (იხ. §15). ამ პერიოდის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებებისა და შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი ორგანოების მოქმედება (იხ. ზევით ციტირებული Pélissier and Sassi, §67).

18. სასამართლოს, იმ საქმეებში, სადაც წამოჭრილი იყო წინამდებარე საქმის მსგავსი საკითხები, ხშირად აღმოუჩენია კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევის შემთხვევები (იხ. ზემოთ ციტირებული Pélissier and Sassi).

19. განიხილა რა მისთვის წარდგენილი მასალები, სასამართლოს მიიჩნია, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც დაარწმუნებდა მას, გამოეტანა განსხვავებული დასკვნა წინამდებარე საქმეზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობას არ განუმარტავს და არ დაუსაბუთებია პირველ ინსტანციაში 2001 წლის 12 ივლისიდან 2005 წლის 18 იანვრამდე სასამართლო წარმოების გაჭიანურება (შეად. cf. Klyakhin v. Russia, no. 46082/99, § 94, 30 November 2004). აღნიშნულ საკითხზე პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში სასამართლო წარმოების პერიოდი იყო მეტისმეტად ხანგრძლივი და არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის“ მოთხოვნას.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2011 წლის 14 სექტემბერს მიღებული CM/ResDH(2011)107 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიება

სასამართლომ განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ სამართლიანი დაკმაყოფილება მიაკუთვნა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, ეროვნული სამართალწარმოება დასრულებული იყო.

ამრიგად, მინისტრთა კომიტეტმა სხვა ინდივიდუალური ღონისძიების გატარება საჭიროდ არ მიიჩნია.

II. ზოგადი ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეზე დადგენილი დარღვევა ცალკეულ შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისი თარიღის მიხედვით, სასამართლოსთვის არ ყოფილა კომუნიცირებული განაცხადები სისხლის სამართლის საქმეებზე გაჭიანურებული სამართალწარმოების შესახებ.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საქმის შემდეგ, გატარდა სასამართლო სისტემის რეფორმა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმგვარად შეიცვალა, რომ სასამართლო სისტემას შეეძლო დაპირისპირებოდა გაჭიანურებული სამართალწარმოების პრობლემას.

ა) სასამართლო რეფორმა და საკანონმდებლო ცვლილებები

სასამართლო სისტემის რეფორმა მიზნად ისახავდა რაიონული სასამართლოების გაუქმებას და მათ ჩანაცვლებას საქალაქო სასამართლოების მიერ. კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებული ნინოწმინდის საოლქო სასამართლო გაუქმდა და მისი ყოფილი იურისდიქცია გადაეცა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს. გარდა ამისა, შეიცვალა კანონმდებლობა ზუსტი საპროცესო ვადების განსაზღვრის მიზნით. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1-ლი ოქტომბრიდან, ითვალისწინებს შემდეგ ვადებს:

- სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს 14 დღისა (225-ე მუხლი);
- პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს მისი მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში (239-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);
- სააპელაციო სასამართლო საჩივრისა და საქმის მიღებიდან 10 დღის ვადაში, წყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს.
- თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი დასაშვებია, სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში (295-ე მუხლი);
- საკასაციო საჩივარი შეიტანება მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში (302-ე მუხლი);
- საკასაციო სასამართლო საჩივრისა მიღებიდან 10 დღის ვადაში, წყვეტს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში. საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო

სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა (303-ე მუხლი).

ბ) პუბლიკაცია/ ადამიანის უფლებათა ევროპული გადაწყვეტილებების გავრცელება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ითარგმნა და 2010 წლის 19 აპრილს ოფიციალურ მაცნეში გამოქვეყნდა.

წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე მოცემულია გამოცემაში სათაურით „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული საქართველოს საქმეებზე“, რომელიც 2010 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა. ზემოთ ხსენებული გამოცემა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2004-2010 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების კრებულს და ის დარიგდა ეროვნულ სასამართლოებში. შედეგად, ამალდა ეროვნული სასამართლოების ცნობიერება სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

„დონაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Donadze v. Georgia)²

№74644/01, 7 მარტი, 2006 წელი

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (საქმის სამართლიანი განხილვა); სამართლიანი დაკმაყოფილება: 3 500 ევრო მთლიანობაში განცდილი ზიანის სანაცვლოდ და 300 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

განმცხადებელმა, საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერმა, ბ-ნმა გივი დონაძემ 1999 წლის 8 ოქტომბერს ეროვნული სასამართლოების წინაშე კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის წინააღმდეგ არამართლზომიერი მოქმედების შედეგად

² გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/donadze.pdf>

მიყენებული მორალური და მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელი შეიტანა. სარჩელში ის აღნიშნავდა, რომ 80-იან წლებში ინსტიტუტის სათავეში ბატონი გ.-ს მოსვლის შემდეგ, დირექცია მას პირდაპირ დევნიდა და აგდებულად, უპატივცემულოდ ექცეოდა და მას ამ პირობებში მუშაობის გაგრძელება არ შეეძლო; განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ 1991 წლიდან 1998 წლამდე მას არ გააჩნდა ადგილი თავისი ლაბორატორიის განსათავსებლად და ექსპერიმენტების ჩასატარებლად და რომ სახელფასო დანამატები, რაც მას უნდა მიეღო სხვადასხვა დროს, არ აუნაზღაურდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი გახდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მხარეთა შორის ადგილი არ ჰქონია შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე გამართულ მნიშვნელოვან სასამართლო პაექრობას და რომ იგი, მოპასუხე მხარესთან შედარებით, არ ჩააყენეს თანაბარ პირობებში. ბ-ნი დონამე დავობდა, რომ წარადგინა რა მრავალი დოკუმენტი და მტკიცებულება, მოსამართლე, თავის ორგვერდიან გადაწყვეტილებაში შემოიფარგლა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის ჩვენებების სიტყვა-სიტყვითი გამეორებით. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, განმცხადებლის პრეტენზია მდგომარეობდა იმაში, რომ აღნიშნულმა ინსტანციამ მას მიაწერა ის სიტყვები, რაც აპელანტს არასოდეს უთქვამს და რითაც სრულად უგულვებლყო დავის საგანი. უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებით, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მიმდინარე საქმის ზეპირმა მოსმენამ ვერ უზრუნველყო სამართლიანი სასამართლო განხილვა მეტისმეტად ხანმოკლე პერიოდის გამო.

სასამართლოს შეფასება (§§30-36)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ის არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლო ხელისუფლებამ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება; მისი ამოცანაა მხოლოდ შიდა სამართლის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის განხილვა. მე-6 მუხლთან დაკავშირებული განაცხადების განხილვისას კი მისი ერთადერთი ფუნქციაა იმის შეფასება, შიდა ეროვნულმა სასამართლოებმა დაიცვეს თუ არა ამ დებულებაში მოცემული კონკრეტული პროცედურული გარანტიები ან მთლიანობაში, სამართალწარმოება რამდენად სამართლიანი იყო. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ეროვნული

სამართალწარმოების დროს ვერ ისარგებლა ეფექტიანი სასამართლო განხილვით, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ განიხილეს განმცხადებლის ძირითადი მოთხოვნები, რის შედეგადაც ის, მოპასუხე მხარესთან შედარებით, აშკარად არახელსაყრელ პირობებში ჩააყენეს.

„30. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მისი მიზანია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიმართ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. შიდა სამართლებრივი ნორმების განმარტება და გამოყენება პირველ რიგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, კერძოდ, სასამართლოების მოვალეობაა (იხ. სხვებთან ერთად, Rotaru c. Roumanie [GC], no 28341/95, § 53, CEDH 2000-V; Kopp c. Suisse, arrêt du 25 mars 1998, Recueil des arrêts et décisions 1998-II, § 59). ევროპული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ეროვნულმა სასამართლო ორგანომ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება; მისი ამოცანაა მხოლოდ შიდა სამართლის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაიქცეოდა მესამე ან მეოთხე ინსტანციის სასამართლოდ და გასცდებოდა თავისი მოვალეობის ფარგლებს (Contal c. France (déc.), no 67603/01, 3 septembre 2000). სასამართლოს ერთადერთ ფუნქციას კონვენციის მე-6 მუხლის კუთხით წარმოადგენს იმ განცხადების განხილვა, სადაც აღნიშნულია, რომ შიდა სასამართლო ორგანოებმა არ დაიცვეს ამ დებულებაში მოცემული სპეციფიკური პროცედურული გარანტიები ან მთლიანობაში, პროცედურის წარმართვამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლისათვის სამართლიანი სასამართლო განხილვა. (Sarkisova c. Géorgie (déc.), no 73239/01, 6 septembre 2005).

31. განმცხადებლის პრეტენზიებისა (იხ. §26 ზემოთ) და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მას არ შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება არც იმ საკითხთან დაკავშირებით, შიდა სასამართლო ორგანოებმა სწორად შეაფასეს თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, და შესაბამისად, სწორად გამოიყენეს თუ არა კანონი. ევროპული სასამართლოს კომპეტენციას სცდება აგრეთვე შიდა სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნების დასაბუთებულობის განხილვას. სასამართლოს ამოცანაა, გაარკვიოს, განმცხადებლის პოზიციასთან მიმართებით შიდა სასამართლო ორგანოებმა ხომ არ იხელმძღვანელებს განმცხადებლის პოზიციასთან დაკავშირებული, აშკარად დაუზუსტებელი დასკვნებით. (Fouquet c. France, no 20398/92, Rapport de la Commission du 12 octobre 1994, Recueil 1996-I, §§ 35-38 ; Dulaurans c. France, no 34553/97, § 33, 21 mars 2000). იქიდან გამომდინარე, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შიდა სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აწარმოოს მხარეთა მტკიცებულებების, არგუმენტების ეფექტიანი

განხილვა, იმისათვის, რომ შეაფასოს მათი მოთხოვნების შესაბამისობა გამოსატან გადაწყვეტილებასთან (Kraska c. Suisse, arrêt du 19 avril 1993, série A no 254-B, p. 49, § 30 ; Van de Hurk c. Pays-Bas, arrêt du 19 avril 1994, série A no 288, p. 19, § 59), სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა შეასრულეს ეფექტიანი განხილვის ზემოხსენებული პირობა (mutatis mutandis, Goktepe c. Belgique, no 50372/99, §25, 2 juin 2005) და არ წასულან, აშკარად, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებს, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინააღმდეგ, რითაც მოპასუხე მხარე აშკარად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენეს (Dombo Beheer B.V. c. Pays-Bas, arrêt du 27 octobre 1993, série A no 274, p. 19, § 33).

ამასთან დაკავშირებით მართებულია იმის შეხსენება, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის თანახმად, რომელიც სამართლიანი სასამართლო განხილვის ფართო ცნების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, სასამართლოები ვალდებული არიან, დაიცვან სრული თანასწორობა მხარეებს შორის. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებენ მას აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოპასუხე მხარესთან შედარებით. (APEH Üldözötteinék Szövetsége et autres c. Hongrie, no 32367/96, § 39, CEDH 2000-X).

32. საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ, სასამართლო ასკვნის, რომ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სარჩელზე უარის შესახებ თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მოპასუხე მხარის ჩვენებებს (იხ. §15). მასში არ ჩანს, რომ განმცხადებლის არგუმენტები გულდასმით იქნა განხილული. სხვადასხვა ფაქტებისა და თარიღების არევით სასამართლო ორგანოებმა განმცხადებელს ზოგჯერ მიაწერეს ისეთი გამონათქვამები, რომლებიც სრულიად საპირისპიროა იმისა, რაც მის საჩივრებშია მოტანილი. (§§ 12, 14, 15 და 19). ამასთან სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დაწყებისთანავე, განმცხადებელმა სასამართლოს ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ მისი სარჩელი პირველ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა იმ მოტივაციით, რომელსაც დავის საგანთან (§§ 15 და 29) კავშირი არ ჰქონია. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველმა არც ერთმა სასამართლო ინსტანციამ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ განმცხადებელს, 1991 და 1998 წლებში არ ეძლეოდა საშუალება, ჰქონოდა სამუშაო ოთახი ინსტიტუტის ახალ შენობაში; მოკლებული იყო იქ თავისი ლაბორატორიის განთავსების შესაძლებლობას, რომ იგი 1999 წ. „ომის ვეტერანთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის აშკარა დარღვევით შეიყვანილ იქნა პერსონალის შემცირების გამო გასათავისუფლებელ თანამშრომელთა სიაში და რომ ამას თან მოჰყვა იმ სახელფასო დანამატის ჩამორთმევა, რომელსაც იგი 1996 წლიდან იღებდა.

განმცხადებელმა თავისი პრეტენზიების დასაბუთებლად მრავალრიცხოვანი დოკუმენტაცია წარმოადგინა. პასუხად, ეროვნულმა სასამართლოებმა დააკვირეს, რომ განმცხადებელი სახელფასო დანამატს 1997 წლიდან იღებდა, ხოლო 1998 წლიდან ჰქონდა საკუთარი კაბინეტი ინსტიტუტის ახალ შენობაში. ამრიგად, განმცხადებლის პრეტენზიები, იმ სახით, როგორადაც მან წარმოადგინა სამივე ინსტანციის წინაშე, (შედრ. ზემოთ მოცემული §§ 12 და 15) ზემოხსენებულ ფაქტებს საერთოდ არ უკავშირდებოდა. ამრიგად, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოების არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ეფუძნებოდა ფაქტებს, რომლებსაც განმცხადებელი თავის საჩივრებში არც გმობდა და არც აპროტესტებდა და, რომლებიც დავის საგანთან შემხებლობაში არ იყო. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ მოყვანილ არგუმენტებს, მიღებული გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, რომ ისინი მოსმენილი იქნა ანუ სათანადოდ იქნა განხილული სასამართლო ორგანოების მიერ. განმცხადებელი მთელი ხანგრძლივი შიდა სასამართლო პროცესების წარმოებისას თავად ახორციელებდა დაცვის ფუნქციას. სასამართლოს წინაშე წარმოსათქმელი სიტყვა სამართლებრივად კარგად არ იყო გამართული, მაგრამ მისი პრეტენზიები ნათლად იყო ჩამოყალიბებული და საკმარისად დასაბუთებული დოკუმენტებით ისე, რომ სასამართლოებს თავისუფლად უნდა შეძლებოდათ მათ წინაშე წარდგენილი არგუმენტირებული მოთხოვნების გამოკვეთა.

33. ამას გარდა, ეროვნული სასამართლოების მიერ, არ იქნა დადგენილი, რომ განმცხადებელი მოკლებული იყო ნორმალურ სამუშაო პირობებს. თუმცა, საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს, თავად ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ 1998 წ. მისში განმცხადებელი გადაყვანილ იქნა რობოტული ტექნიკის განყოფილებაში და მხოლოდ 2000 წ. მიიღო თავისი ლაბორატორიის აღჭურვილობის გადატანის ნებართვა (§18). სადავო გადაწყვეტილებებიდან ასევე ირკვევა, რომ საქმის არსებითად განხილველმა სასამართლოებმა არ სცადეს გაერკვიათ სახელფასო დანამატების სხვადასხვა ტიპებს შორის განსხვავების საკითხი (დანამატი სამეცნიერო პროექტში მონაწილეობისათვის და დანამატი დაკავშირებული ხარისხთან), რომელთა მიღების უფლებასაც განმცხადებელი, მისი პრეტენზიების თანახმად, სხვადასხვა პერიოდში ფლობდა. სასამართლოებს არც იმის გარკვევაზე უზრუნველათ, რომ გაერკვიათ დანამატების გადაუხდელობის ან გაუქმების მიზეზები და შეეფასებინათ ამასთან დაკავშირებული ადმინისტრაციის ქმედებები.

34. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ვრცელი დამატებითი სააპელაციო საჩივარი გაიზნა იმ სააპელაციო

სასამართლოში (§17), რომლის მოსამართლედ საყვედურობდა აპელანტს მისი ჩვენებების დამადასტურებელი საბუთების არქონის გამო მაშინ, როდესაც ეს მტკიცებულებები ფიგურირებდა ხსენებულ დამატებით საჩივარში (§ 19 ზემოთ). უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც უნდა განეხილა საჩივარი ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ არგუმენტს თავის დადგენილებაში პასუხი არ გასცა (§§ 20 და 21). ამის თაობაზე მთავრობას მოსაზრება არ წარმოუდგენია.

35. ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ შიდა სასამართლო გადაწყვეტილებებში ფორმულირებული დასკვნები არ ადასტურებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განახორციელეს განმცხადებლის არგუმენტების ღრმა და სერიოზული განხილვა, რომ მათ თავიანთი მსჯელობა დააფუძნეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, როგორც მათ ეს გააკეთეს მოპასუხე მხარესთან მიმართებით და დაასაბუთოს განმცხადებლის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობა. იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოებს არა აქვთ შესაძლებლობა დაასაბუთონ მხარის თითოეულ არგუმენტზე უარის თქმის მოტივაცია, ისინი არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან ჯეროვნად განიხილონ და პასუხი გასცენ მათ მიერ წამოყენებულ ძირითად მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზების არსებობამ, როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის ვრცელი დამარტებითი საჩივრის განუხილველობამ, განმცხადებელი, მოპასუხე მხარესთან შედარებით, ჩააყენა აშკარად არახელსაყრელ პირობებში. მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიმოხილვას არ ჰქონდა თანდართული არავითარი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (§27), არ შეიცავდა მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა განხსვავებული დასკვნის გაკეთება. ფაქტობრივად ისინი სიტყვა_სიტყვით იმეორებენ სადავო სასამართლო გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, ამან სასამართლოზე დამაჯერებლად ვერ იმოქმედა.

36. სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელმა შიდა სასამართლო ორგანოებში ვერ ისარგებლა ეფექტიანი სასამართლო განხილვით, შიდა ინსტანციებმა ვერ უზრუნველყვეს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული განმცხადებლის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. ამდენად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 პარაგრაფის დარღვევას.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2011 წლის 8 ივნისს მიღებული CM/ResDH(2011)63 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა

გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებელს ზიანის ანაზღაურების მიზნით, თანასწორობის საწყისზე, მიაკუთვნა სამართლიანი დაკმაყოფილება; განმცხადებელს მინისტრთა კომიტეტის წინაშე არ წარუდგენია დამატებითი მოთხოვნა ინდივიდუალური ღონისძიების თაობაზე.

შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტმა სხვა ინდივიდუალური ღონისძიების გატარება საჭიროდ არ მიიჩნია.

II. ზოგადი ღონისძიებები

მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შემდეგი ზომები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და გავრცელება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ითარგმნა ქართულ ენაზე და 2007 წლის 29 მაისს გამოქვეყნდა ოფიციალურ მაცნეში. აღნიშნული გადაწყვეტილების ნახვა ასევე შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში - *საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები*. ზემოთ ხსენებული გამოცემა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2004-2010 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების კრებულს და ის დარიგდა ეროვნულ სასამართლოებში. შედეგად, ეროვნული სასამართლოების ყურადღება გამახვილდა ევროპული სასამართლოს მოთხოვნებზე სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ჭრილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2006 წლის 13 ივლისსა და 2007 წლის 13 ივლისს ცვლილებები შევიდა; კოდექსს დაემატა რამდენიმე დებულება, რომლებიც ხაზს უსვამდა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს და სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები დასაბუთებული უნდა იყოს.

შეჯიბრებითობის პრინციპი: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი უზრუნველყოფს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. კოდექსის მე-5 მუხლი ადგენს კანონის წინაშე მოქალაქეების თანასწორობის პრინციპს: „მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე“.

სასამართლო განჩინებების დასაბუთება: კოდექსის 284-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ განჩინებას მხარეთათვის გადასაცემად (2006 წლის 13 ივლისის საკანონმდებლო ცვლილება).

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას ზედამხედველობას უწევს საკასაციო სასამართლო, რომელსაც შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს დააბრუნოს იმავე ან სხვა შემადგენლობით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი).

გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება, თუ ის:

- არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (2006 და 2007 წლებში შეცვლილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი).

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა:

უზენაესი სასამართლოს მოუწოდეს დონადის საქმის მსგავს დავებში, რომელიც კერძო პირსა და საჯარო დაწესებულებას შორის მიმდინარეობს და შრომის სამართალს ეხება, გამოეყენებინა ზემოთ დადგენილი პრინციპები.

2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი, გაეუქმებინა საქართველოს კოოპერატივის კავშირის თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ ბრძანება, იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ

2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით, საქმეზე ს.გ. საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის წინააღმდეგ, უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის გადაწყვეტილება და უარი უთხრა მოსარჩელეს აღდგენილიყო თანამდებობაზე. უზენაესმა სასამართლომ საქმე უკან დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობას და აღნიშნა, რომ მან ვერ შეძლო ჩაეტარებინა მტკიცებულებების სრული, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოკვლევა; საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ შეუძლებელი გახდა მისი მიღების სამართლებრივი საფუძველების შემოწმება.

„აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (Apostol v. Georgia)³

№40765/02, 28 ნოემბერი, 2006 წელი

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა);

სამართლიანი დაკმაყოფილება: განმცხადებელს სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დაუყენებია; ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის რაიმე

³ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/apostoli.pdf>

თანხის გადაცემის საბაზი არ არსებობდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფომ, სათანადო საშუალებებით, უნდა უზრუნველყოს 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება.

ფაქტები:

წინამდებარე საქმეზე განმცხადებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ რამდენიმე სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში მას დაერღვა კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმის წარმოების მეორე და მესამე ეტაპთან მიმართებით დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა აშკარად უსაფუძვლო იყო და განაცხადის ეს ნაწილი დაუშვებლად ცნო; ევროპულმა სასამართლომ დასაშვებად ცნო პირველ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით წარდგენილი მოთხოვნა და განიხილა საქმის არსებითი მხარე.

2001 წლის 21 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მიერ კერძო პირის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი და ამ უკანასკნელს განმცხადებლის სასარგებლოდ 2,000 აშშ დოლარის (1,595 ევრო) ვალის გადახდა დააკისრა. გარდა ამისა, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა 100 ლარის (43,75 ევრო) გადახდა გაწეული ხარჯების ანაზღაურების სახით. მას შემდეგ, რაც მოვალემ უარი განაცხადა გადაწყვეტილების აღსრულებაზე, განმცხადებელმა სააღსრულებო წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართა *აჭარის* ავტონომიური რესპუბლიკის („აჭარის ა/რ“) იუსტიციის სამინისტროს. 2002 წლის 27 ნოემბრის წერილით სამინისტრომ განმცხადებელს აცნობა, რომ „*სააღსრულებო წარმოებათა შესახებ*“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, მას „*აღსრულების ღონისძიებებთან დაკავშირებული წინასწარი ხარჯები*“ უნდა გადაეხადა. თუმცა წერილი არ აკონკრეტებდა აღნიშნულ ღონისძიებათა სახეობასა და ღირებულებას. მოცემული დროისთვის განმცხადებელი იღებდა ყოველთვიურ პენსიას 45 ლარის (19 ევრო) ოდენობით, აქედან გამომდინარე, მისთვის შეუძლებელი იყო სააღსრულებო წარმოების წინასწარი ხარჯების დაფარვა.

სამი წლის შემდეგ, 2004 წლის 20 იანვარს, განმცხადებელმა მიმართა *აჭარის ა/რ* მინისტრთა საბჭოს - აღმასრულებელ ორგანოს. განმარტა რა, რომ ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო წინასწარ დაეფარა სააღსრულებო ხარჯები, განმცხადებელმა გამოთქვა მზადყოფნა, აღნიშნული ხარჯები გადაეხადა კუთვნილი ვალის მიღების შემდეგ. 2004 წლის 12 მარტის პასუხში *აჭარის ა/რ* იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნა,

რომ მოვალის ადგილსამყოფელი უცნობი იყო, თუმცა განმცხადებელს შეახსენა, რომ თუ იგი გადაიხდიდა აღნიშნულ წინასწარ ხარჯებს, სასამართლო აღმასრულებელი მოიძიებდა მოვალის ქონებას, დააყადაღებდა მას და აუქციონზე გაიტანდა. კანონის 113-ე მუხლზე დაყრდნობით, სამინისტრომ განაცხადა, რომ განმცხადებელს შეეძლო გადაეხადა სააღსრულებო წარმოების გადასახადი - სადავო ვალის 7% - აღნიშნული წარმოების დასრულების შემდეგ. განმცხადებელმა არ გადაიხადა რა მოთხოვნილი წინასწარი ხარჯები, 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება კვლავ აღუსრულებელი რჩებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით, განმცხადებელი ასაჩივრებდა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების უარს 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

სასამართლოს შეფასება (§§54-66)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ განაცხადა, რომ პირის უფლება სამართლიან განხილვაზე, იცავს მის უფლებას სააღსრულებო წარმოებათა ხელმისაწვდომობაზე. სასამართლომ აღნიშნა თუ რა გარემოებები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რათა განისაზღვროს, ისარგებლა თუ არა პირმა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებით და მიიჩნია, რომ სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისთვის საჭირო ხარჯების განმცხადებლისთვის დაკისრებამ, მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, განმცხადებლის სასამართლო ხელმისაწვდომობაზე უფლება იმ დოზით შეზღუდა, რომ ამ უფლების არსი დაარღვია.

„54. სასამართლო შეგვახსენებს, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. *Golder c. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული

უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. *Hornsby*, ხსენებული ზემოთ § 40 და შემდგომ).

55. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი იმის შესახებ, აუნაზღაურდებოდა თუ არა განმცხადებელს სადავო გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ წინასწარ გადახდილი ხარჯები, არ არის კავშირში მის მიერ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიაში აღწერილ სიტუაციასთან. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ აღსრულებასთან დაკავშირებული თანხის წინასწარ გადახდის ვალდებულებამ ხელი შეუშალა განმცხადებელს საბოლოო გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ აღსრულებულიყო.

56. ვინაიდან აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელი ნაწილია (*Bourdov c. Russie*, no 59498/00, §34, CEDH 2002-III), სასამართლო თვლის, რომ პირის უფლება სასამართლო განხილვაზე, „სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა“ განსაზღვრისთვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ხელმისაწვდომობასთან ერთად (*Kreuz c. Pologne (no 1)*, no 28249/95, §§ 53 et 54, CEDH, 2001-VI), თანაბრად იცავს ამ პირის უფლებას სააღსრულებო წარმოებათა ხელმისაწვდომობაზეც (იხ., *mutatis mutandis*, *Manoilescu et Dobrescu c. Roumanie et Russie* (déc.), no 60861/00, CEDH 2005-VI), ანუ უფლება ამგვარი პროცედურის დაწყებაზე.

57. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აბსოლუტური არ არის და ის შესაძლებელია გარკვეული შეზღუდვების საგანი გახდეს; ეს შესაძლებელია იმ მოსაზრებით, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას თავისი არსით სახელმწიფო უნდა აწესრიგებდეს. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ დაწესებული შეზღუდვებით არ დაირღვევა ან შემცირდება პირის უფლება ხელმისაწვდომობაზე იმგვარად ან ისეთი მასშტაბით, რომ უფლების არსი დაირღვეს. შეზღუდვა ვერ მოვა შესაბამისობაში მე-6 (§1) მუხლთან თუ ის არ მოემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ არ იარსებებს პროპორციულობის გონივრული კავშირი დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის (იხ. *Waite et Kennedy c. Allemagne* [GC], no 26083/94, §59, CEDH 1999-I).

58. სასამართლო შენიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლზე დაყრდნობით, კომპეტენტურმა ოფიციალურმა პირებმა, „წინასწარი ხარჯების“ გადახდის ვალდებულების ფორმით, განმცხადებელს ფინანსური შეზღუდვა დააკისრეს. აღნიშნული „წინასწარი ხარჯები“, რომლებიც ზღუდავს სააღსრულებო წარმოებაზე ხელმისაწვდომობას, იმ წესს მოგვაგონებს, რომლის

მიხედვით სამოქალაქო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა სასამართლო ბაჟის გადახდაზეა დამოკიდებული.

59. ამ კითხით, სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა განისაზღვროს, ისარგებლა თუ არა პირმა ხელმისაწვდომობის უფლებით, მოთხოვნილი თანხების რაოდენობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად, მათ შორის, განმცხადებლის გადახდისუნარიანობისა და პროცესის იმ ეტაპის გათვალისწინებით, რომელზეც შეზღუდვა იქნა დაწესებული (*Kreuz*, ხსენებული ზემოთ, §60).

60. წინამდებარე საქმეში სადავო ფინანსური შეზღუდვები განმცხადებელზე არ დაწესებულა არც პირველ ინსტანციაში, არც სააპელაციო განხილვის ეტაპზე და ამდენად, კავშირში ვერ იქნება მისი საჩივრის არსთან, ან წარმატების პერსპექტივასთან - მოსაზრებებთან, რომლებმაც შეიძლება გაამართლოს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაზე დაწესებული შეზღუდვა (იხ. *a contrario*, *Tolstoy Miloslavsky c. Royaume-Uni*, 13 juillet 1995, §§ 61 et suiv., série A no 316-B). ამის საპირისპიროდ, განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო და აღსრულებადი გადაწყვეტილების არსებობა ადასტურებს, რომ განმცხადებლის სარჩელი სათანადოდ დასაბუთებული იყო. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დაკისრებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება მხოლოდ ფინანსურ ხასიათს ატარებს და მართლმსაჯულების ინტერესების თვალსაზრისით სერიოზულ შესწავლას მოითხოვს (იხ. *Podbielski et PPU Polpure c. Pologne*, no 39199/98, §65, 26 juillet 2005).

61. სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობას არ განუმარტავს თუ რა იყო განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო თანხის გადახდის დაკისრების მიზანი. მათ მხოლოდ აღნიშნეს, რომ ხსენებული გადაწყვეტილება სახელმწიფოს დაფინანსებით აღსასრულებელი გადაწყვეტილებების კატეგორიაში არ შედიოდა. თუ განმცხადებელი დაინტერესებული იყო განაჩენით დადგენილი ვალის მიღებით, მაშინ მას თავად უნდა უზრუნველყოფო ფინანსურად აღსრულებისთვის საჭირო პროცედურის განხორციელება (იხ. §51).

62. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, არც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი *in fine* და არც რომელიმე სხვა დებულება არ განსაზღვრავს, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების რომელი ნაწილი ან რა ზომებისათვის არის დაკისრებული მევალეზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში ასევე არ არის მითითებული, რომ მევალის მიერ წინასწარ გაღებული ხარჯები მთლიანად უნდა ანაზღაურდეს აღსრულების შემდგომ.

გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები განმცხადებლისათვის გაგზავნილ წერილებში ამ საკითხებს ამაზე მეტად არ განმარტავდნენ. ისინი არ განსაზღვრავდნენ თუ რა თანხა უნდა გადაეხადა განმცხადებელს და რომელი კონკრეტული ზომებისათვის. ისინი პირდაპირ (ზოგადად) აცხადებდნენ, რომ განმცხადებლის მიერ წინასწარი ხარჯების დაფარვის შემდეგ, სასამართლო აღმასრულებელი განსაზღვრავდა მოვალის აქტივებს და მათ აუქციონზე გაიტანდა (იხ. §8 9 და 12). განმცხადებლის განცხადება მისი ხელმოკლეობის შესახებ უპასუხოდ დარჩა.

63. იმ შემთხვევაშიც კი თუ ვივარაუდებთ, რომ არსებობს ისეთი გარკვეული გარემოებები, რითაც აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილის მევალებებისათვის დაკისრება გამართლებული იქნებოდა, სასამართლო შენიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 113-ე მუხლით, მევალეს ეკისრება პასუხისმგებლობა, გადაიხადოს თანხა, რომელიც შეადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებით ამოღებული თანხის 7%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი, რომელსაც არ შეეძლო გადაეხადა წინასწარი ხარჯები თავისი ხელმოკლეობის გამო, მზად იყო გადასახადი გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ გადაეხადა (იხ. §11).

64. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გარანტირებული ეფექტიანი უფლების დაცვის ვალდებულების შესრულება არ ნიშნავს მხოლოდ ჩაურევლობას, არამედ შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების გატარება მოითხოვოს (*Kreuz*, ხსენებული ზემოთ, §59). სასამართლო მიიჩნევს, რომ აღსრულების პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულების განმცხადებელზე დაკისრებით, სახელმწიფო შეეცადა, თავი აერიდებინა მისი პოზიტიური ვალდებულებისთვის – მოეხდინა ისეთი სააღსრულებო სისტემის ორგანიზება, რომელიც ეფექტიანი იქნებოდა, როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. (*Fouklev c. Ukraine*, no 71186/01, §84, 7 juin 2005).

65. ზემოაღნიშნული მოსაზრებების თანახმად, სახელმწიფოს წარმომადგენლების პოზიცია გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისათვის საჭირო ხარჯების განმცხადებლისთვის დაკისრების მიმართ, მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, მძიმე ტვირთად აწვება განმცხადებელს და ზღუდავს მის უფლებას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობაზე იმ დოზით, რომ აღნიშნული უფლების ნამდვილი არსი ირღვევა.

66. შესაბამისად, ადილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას.”

აღსრულება

წინამდებარე საქმე ჯერ არ აღსრულებულა.

I. ინდივიდუალური ღონისძიება

განმცხადებელს არ წარუდგენია რაიმე მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ, შესაბამისი ზომების გატარებით, უნდა უზრუნველყოს 2001 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება.

2015 წლის 11 სექტემბერს სახელმწიფოს გადაეგზავნა წერილი, სადაც დეტალურად იყო მოცემული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მათ მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. 2017 წლის 27 იანვარს სახელმწიფოს გაეგზავნა შეხსენების წერილი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კვლავ ელოდება სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის მიწოდებას.

II. ზოგადი ღონისძიება

საქმის გამოქვეყნებისა და გავრცელების ვალდებულება შესრულდა.

აღსრულების სისტემის რეფორმა და მოდერნიზაცია

აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოები რეფორმირდა, კერძოდ, 2008 წლის ოქტომბერში შეიქმნა აღსრულების ეროვნული ბიურო და შემოღებულ იქნა აღმასრულებლის შერეული სისტემა. აღნიშნული მომსახურების მოდერნიზაციისა და აღმასრულებელთა პროფესიონალიზმის ამდღეობის მიზნით გატარდა ბევრი ღონისძიება.

აღსრულების პროცედურას ამჟამად აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 1999 წლის 16 აპრილის კანონი, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა; ზემოხსენებულ კანონში ბოლო ცვლილება ძალაში შევიდა 2010 წლის დეკემბერში. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო, მას შემდეგ რაც მიიღებს მოთხოვნას, აღსრულდეს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ ვალს ადგენს, მოუწოდებს

შესაბამის საჯარო დაწესებულებასა და ფინანსთა სამინისტროს ადასრულოს გადაწყვეტილება.

„საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ” (FC Mretebi v. Georgia)⁴

N^o38736/04, 31 ივლისი, 2007 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა);

სამართლიანი დაკმაყოფილება: არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ განმცხადებელს მოთხოვნა არ წარმოუდგენია, ხოლო მატერიალური ზიანი, ისევე როგორც ხარჯები და დანახარჯები არ ანაზღაურდა.

ფაქტები:

საფეხბურთო კლუბ „მრეტებსა“ და „დინამოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ გადაეცა დინამოს საფეხბურთო კლუბს. აღნიშნული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა ვალდებულებას, ფეხბურთელის საზღვარგარეთ გადაყვანის შემთხვევაში, საფეხბურთო კლუბ „მრეტებს“ მიეღო საერთაშორისო ტრანსფერის გადასახადის 50%. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სკ-მა „დინამომ“ ფეხბურთელი სკ „მანჩესტერ სიტის“ გადასცა 1,750,000 აშშ დოლარად, მან „მრეტებს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ გადასცა. თავისი კუთვნილი თანხის მიებაში განმცხადებელმა („მრეტებმა“) საჩივრით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ფიფას წესდებების თანახმად, კლუბებს ეკრძალებოდათ მათ შორის არსებული დავის გადასაწყვეტად სასამართლოსთვის მიემართათ. განმცხადებლის მიერ წარდგენილი არაერთი საჩივრის შემდეგ, საბოლოოდ, განისაზღვრა, რომ დინამოს საფეხბურთო კლუბს მისთვის 300,000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. დინამოს საფეხბურთო

⁴ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mretebi.pdf>

კლუბმა შეასრულა ეს გადაწყვეტილება და სრულად გადაიხადა ვალი 2001 წ. იანვარში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თანხა, რომელიც ფიფამ დანიშნა, არ იყო საკმარისი ზარა-ლის ასანაზღაურებლად, განმცხადებელმა გადასცა საქმე სასამართლოს 9,600,000 აშშ დოლარის და 2,812,500 დიდი ბრიტანეთის სტერლინგის ოდენობის ზიანის თაობაზე (მთლიანად 11,750,000 ევრო) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ მოპასუხემ, თავისი წესდებების საწინააღმდეგოდ, ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი პოზიტიური ვალდებულება დაეცვა თავისი წევრი კლუბების უფლებები. ამ უყურადღებობის შედეგად, მოხდა უმართებულო გამდიდრება დინამოს საფეხბურთო კლუბისა განმცხადებლის ქონებრივი უფლებების ხარჯზე. განმცხადებელი ეროვნულ დონეზე აგრეთვე ითხოვდა სასამართლო ბაჟის გადახდის გადავადებას საქმის განხილვამდე. 2003 წ. 11 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლომ უარი თქვა ბაჟის გადახდის გადავადებაზე იმ საფუძველით, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული გაკოტრების დამადასტურებელი მტკიცებულებით. რადგანაც, საჩივრის ღირებულება იყო მაღალი, 2003 წ. 5 მაისს განმცხადებელმა საბოლოოდ გადაიხადა სასამართლოს ხარჯები, მაქსიმალური თანხით 5,000 ლარი (2,200 ევრო). 2004 წ. 5 იანვარს, განმცხადებელმა წარადგინა საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მან შეაჩერა თავისი საქმიანობა ფინანსური პრობლემების გამო (თითქმის გაკოტრება), რაც გამოწვეული იყო მოპასუხის უკანონო ქმედებით, განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება საკასაციო წარმოების ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ხარჯებისაგან სრული გათავისუფლების თაობაზე წინადადება არ იქნებოდა მიღებული, განმცხადებელი ითხოვდა სასამართლო ხარჯების შემცირებას ან გადავადებას. 2004 წ. 30 იანვარს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის მოთხოვნა სასამართლო ხარჯებისაგან ნაწილობრივი ან სრული გათავისუფლების თაობაზე. ყოველგვარ კონკრეტულ გარემოებაზე მითითების გარეშე სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ ხარჯებისაგან გათავისუფლების არავითარი საფუძველი არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-49-ე მუხლების საფუძველზე. სასამართლომ შესთავაზა განმცხადებელს, გადაეხადა 5,000 ლარი თოთხმეტი დღის ვადაში. ბაჟის გადაუხდელობის გამო უზენაესმა სასამართლომ 2004 წ. 15 მარტს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე გამართულ პროცესზე, განმცხადებელს 2004 წ. 26 აპრილს გადაეცა. 2005 წ. 15 მარტის აუდიტორის დასკვნამ დაადასტურა განმცხადებლის გაკოტრება, რასაც შედეგად მოჰყვა მისი საქმიანობის შეწყვეტა ფეხბურთის სფეროში. დასკვნაში

აღნიშნულია, რომ იმის გამო, რომ განმცხადებელს არ შეეძლო გადაეხადა მონაწილეობისათვის დადგენილი გადასახადი, განმცხადებელი გამოთიშეს ეროვნული ფეხბურთის ჩემპიონატიდან 2002 წლიდან. სხვა დაუფარავ ვალს შორის, აუდიტორის დასკვნაში აღნიშნულია სესხზე პროცენტის განაკვეთი, რომელიც განმცხადებელმა მიიღო იმისათვის, რომ გადაეხადა სასამართლოს ბაჟი 5,000 ლარის ოდენობით საოლქო სასამართლოში საქმისწარმოებისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით, განმცხადებელი ასაჩივრებდა უზენაესი სასამართლოს უარს, გაეთავისუფლებინა იგი ზედმეტად მაღალი სასამართლო ხარჯებისგან, რითის მას შეეზღუდა სასამართლო ხელმისაწვდომობა.

სასამართლოს შეფასება (§§ 38-50)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ განაცხადა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის ხარჯების გადახდის მოთხოვნა თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან შეუსაბამოდ. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი ხარჯების გონივრულობა ფასდება საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაა განმცხადებლის შესაძლებლობა გადაიხადოს ის. სასამართლოს დასკვნით, განმცხადებელს დაერღვა კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული უფლება, ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, განმცხადებლის ინტერესს შორის, დაემტკიცებინა თავისი სარჩელის სამართლიანობა სასამართლოს გზით.

„38. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ რეალურად განმცხადებელს უარი უნდა ეთქვა მის საკასაციო საჩივარზე, რადგანაც მას არ შეეძლო გადაეხადა უზენაესი სასამართლოს ხარჯები.

39. თუმცა სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი უზრუნველყოფს ყველას ჰქონდეს უფლება ნებისმიერი საჩივრით, რომელიც ეხება მის სამოქალაქო უფლებებს და მოვალეობებს მიმართოს სასამართლოს, (იხ. *Teltronic-CATV v. Poland*, no. 48140/99, §§ 45 and 64, 10 January 2006; *Golder v. the United*

Kingdom, judgment of 21 February 1975, Series A no. 18, pp. 13-18, §§ 28-36). იქ, სადაც სააპელაციო სამართალწარმოება არსებობს, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში განაგრძონ მე-6 მუხლის იგივე ფუნდამენტური გარანტიებით სარგებლობა სააპელაციო სასამართლოების წინაშე, როგორც ისინი სარგებლობდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოების წინაშე (იხ. *Brualla Gómez de la Torre v. Spain*, judgment of 19 December 1997, *Reports of Judgments and Decisions* 1997-VIII, p. 2955, § 33; *Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, judgment of 10 July 1998, *Reports* 1998-IV, p. 1660, § 72).

აქედან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ განმცხადებელს უფლება ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის თანახმად, მისი საქმე განხილულიყო უზენაესი სასამართლოს მიერ, მაგრამ 2004 წ. 30 იანვრისა და 15 მარტის გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელის მიმართ შეიზღუდა ეს უფლება.

40. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, აღნიშნულმა შეზღუდვამ ან შეამცირა ან შეზღუდა განმცხადებლის უფლება სასამართლოზე იმდენად, რომ ამ უფლების ძირითადი არსი იქნა ხელყოფილი. ამისათვის სასამართლომ უნდა განიხილოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები, რომელებიც ამ უკანასკნელმა მიიღო თავისი დისკრეციული ძალაუფლების გამოყენებით, იმის დასადგენად იყო თუ არა მათი შედეგები კონვენციის შესაბამისი (იხ. *Kreuz v. Poland*, no. 28249/95, §§ 55 and 56, ECHR 2001-VI).

41. სასამართლო აცხადებს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის ხარჯების გა-დახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან პერსე შეუსაბამოდ. (*Weissman and Others v. Romania*, no. 63945/00, §§ 34 and 35, ECHR 2006-... (extracts)). თუმცა, ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, განმცხადებლის უნარი გადაიხადოს ის, და სასამართლო პროცესის ეტაპი, რომელზედაც ვრცელდება ასეთი შეზღუდვა (იხ. *Kreuz* მითითებული ზემოთ, §§58 და 60). უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობისა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (*Weissman and Others*, ციტირებული ზემოთ, §36).

42. წარმოდგენილ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს, თავისი საჩივრის ღირებულების შესაბამისად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და

41-ე მუხლების თანახმად, მოეთხოვებოდა მაქსიმალური ბაჟის გადახდა – 5,000 ლარის ოდენობით (2,200 ევრო) – სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე. ამრიგად, რადგანაც მისმა საჩივარმა მოითხოვა ორი სასამართლო ინსტანციის მიერ განხილვა, რეალური ფინანსური ტვირთი გაორმაგდა. ამრიგად, განმცხადებელმა გადაიხადა 5,000 ლარის ოდენობის გადასახადი პირ-ველ ინსტანციაში, ვინაიდან საოლქო სასამართლომ უარი უთხრა მას გადასახადის გადავადებაზე (იხ. §24, ზემოთ), მაგრამ ვერ შეძლო გადაეხადა იგივე თანხა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

43. სასამართლო ადგენს, რომ მთავრობის არგუმენტი, რომ „ყველაზე ღარიბ საფეხბურთო კლუბსაც“ კი საქართველოში შეეძლო უფლება მიეცა თავისი თავისათვის ასეთი ხარჯების გაღებისა ჰიპო-თეტურია და არ არის გამყარებული არავითარი ფაქტებით ან მტკიცებულებით (იხ. *Jedamski and Jedamska v. Poland*, no. 73547/01, § 63, 26 July 2005).

44. მთავრობის შემდეგი არგუმენტი, რომ განმცხადებელს, რომელმაც მიიღო მისი სავალო თანხა დინამოს საფეხბურთო კლუბიდან, უნდა გადაედო საჭირო თანხა სასამართლო წარმოების დასაწყებად, არ არის ასევე დამაჯერებელი. ფაქტია, რომ განმცხადებელი იყო გადახდისუუნარო და მისი საქმიანობა ჩაიშალა იმ დროისთვის, როდესაც საქმე შევიდა უზენაეს სასამართლოში და ეს უკანასკნელი სათანადოდ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. განმცხადებელმა თამაშიც კი შეწყვიტა ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში იმის გამო, რომ არ შეეძლო გადაეხადა მონაწილეობის საფასური (იხ. §§ 26 და 28, ზემოთ). ასეთ გარემოებებში, თუ უზენაესმა სასამართლომ, როგორც ამტკიცებს მთავრობა, მართლაც მხოლოდ ჩაიხედა განმცხადებლის შემოსავლებში, მისი უყურადღებობა, გაცნობოდა კლუბის დანახარჯებს და დაუფარავ ვალებს, როგორც ჩანს იყო თვითნებური. თუ დავუშვებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის გადახდისუუნარობის თხოვნა არ იყო საკმარისად დასაბუთებული საქმეში არსებული მასალებით, მას უნდა განეცხადებინა ამის თაობაზე 2004 წ. 30 იანვრის გამაფრთხილებელ გადაწყვეტილებაში და მოეწოდებინა ამ უკანასკნელისათვის, რათა მას წარედგინა საჭირო დოკუმენტები. თუმცა, მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესმა სასამართლომ ასე არ გააკეთა. უზენაესი სასამართლოს 2004 წ. 30 იანვრის სხვა მხრივ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების განმარტება გაკეთდა მხოლოდ წინამდებარე სასამართლო პროცესის მსვლელობისას მთავრობის მიერ წარდგენილ პასუხში. (§§ 27, 35 და 36, ზემოთ).

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფზე მითითება, რომელიც როგორც განმცხადებელს, ასევე

მოპასუხეს აკისრებს მტკიცების თანაბარ ტვირთს შეჯიბრებითი ხასიათის სამოქალაქო ტიპის საქმეებში, უადგილოა. წინამდებარე საქმეში პრობლემა მდგომარეობს არა მხარეებს შორის დავის საკითხში, არამედ მხარესა და სასამართლო ხელისუფლებას შორის. სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავს სიტუაციებში, როდესაც სასამართლო ხელისუფალნი ჩათვლიან, რომ მხარის განცხადება გადახდისუუნარიანობის შესახებ საეჭვო ან არასაკმარისია, მათ უნდა გამოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია წარსადგენი დოკუმენტაციის მითითებით და/ან უბრძანონ წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება. (იხ. *mutatis mutandis, Jedamski and Jedamska*, cited above, § 64; *Kreuz*, ციტირებული ზემოთ, §64).

46. როგორც არ უნდა იყოს მთავრობის არგუმენტები და გამამართლებელი საბუთები, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ თავად უზენაეს სასამართლოს არ მიუთითებია, რომ მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო საკმარისი. იგი ასევე არ შეეცადა მიეღო განმცხადებლის ან კომპეტენტური უწყებებისგან გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულება. სასამართლოს გადაწყვეტილებებში ბუნდოვნად იყო აღნიშნული, რომ არ არსებობდა სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლების არავითარი საფუძველი. ასეთ გარემოებებში, უზენაესი სასამართლოს უარი განმცხადებლის სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებაზე, ყოველგვარი შესაბამისი დასაბუთების გარეშე წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას.

47. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი მოითხოვდა ბაჟისაგან არა მარტო სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, არამედ ასევე გამოხატავდა სურვილს, დაეფარა ხარჯები დანაწევრებულად ან სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმცხადებლის თხოვნა სასამართლო ბაჟისაგან მისი გათავისუფლების შესახებ, მართლაც რომ საკასაციო სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. მაგრამ, სასამართლოს აზრით, როდესაც განმცხადებელს უარი ეთქვა, ფინანსურ შეღავათზე ყოველგვარი დასაბუთებული მიზეზის გარეშე უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა ერთადერთი ინტერესით უზრუნველყო შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში (იხ. *Podbielski and PPU Polpure*, no. 39199/98, §66, 26 July 2005). მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ შეზღუდვა წინამდებარე საქმეში იყო წმინდა ფინანსური ხასიათის, რაც არ იყო დაკავშირებული საჩივრის არსებით გარემოებებთან ან მისი წარმატების პერსპექტივასთან. ასეთი შეზღუდვა მოითხოვს განსაკუთრებულად მკაცრ

ყურადღებას მართლმსაჯულების ინტერესების თვალსაზრისით (იხ. *Podbielski and PPU Polpure v. Poland*, cited above, §65).

48. ამ მხრივ, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ აბსტრაქტული მითითების გარდა „სამართალწარმოების სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირების“ ცნებაზე (§36, ზემოთ), მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე კონკრეტული და კანონიერი მიზანი ფინანსური შეზღუდვის გასამართლებლად, რომელიც განხორციელდა განმცხადებლის უფლებაზე, მისი საქმე განხილულიყო სასამართლოს მიერ. სასამართლომ, განიხილა რა მის ხელთ არსებული მასალა, აღნიშნავს, რომ ბაჟი, რომ-ლებიც დაწესდა წინამდებარე საქმეზე, არ ემსახურებოდა მეორე მხარის ლეგიტიმური ინტერესების დაცვას არაანაზღაურებადი სამართლებრივი ხარჯებისაგან ან სამართლებრივი სისტემის დაცვას არა არსებითი საჩივრისგან. მიზნებს, რომლებმაც, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, შეიძლება გაამართლონ სასამართლოზე უფლების შეზღუდვა. (შეად., *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, judgment of 13 July 1995, Series A no. 316-B, pp. 80-81, §§ 61 et seq.). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში სახეზე არ არის უპირატესი საზოგადო ინტერესი.

49. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით და მთლიანად საქმის ფაქტების შეფასებით, სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესსა, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, განმცხადებლის ინტერესებს შორის დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით.

50. შესაბამისად, განხორციელდა სასამართლო განხილვაზე უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევა.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2010 წლის 2 დეკემბერს მიღებული CM/ResDH(2010)163 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიება

განმცხადებელმა არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნება არ მოითხოვა. სასამართლომ მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული განმცხადებლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ მას არ შეეძლო სპეკულირება მოეხდინა ეროვნული სამართალწარმოების შედეგით, ვინაიდან ისინი კონვენციის 6.1 მუხლთან შესაბამისობაში იყო. მოცემულ საქმეზე თავისი დასკვნების გათვალისწინებით და განმცხადებლის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების უკანონო შეზღუდვის გამოსწორების სხვა შესაძლო ზომების მიმართ ჩრდილის მიყენების გარეშე, სასამართლომ განაცხადა, რომ მისი აზრით კომპენსაციის ყველაზე სათანადო ფორმა იყო უზენაესი სასამართლოს მიერ, კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, განმცხადებლის 2004 წლის 5 იანვრის საკასაციო საჩივრის განხილვა, თუ იგი ამის სურვილს გამოხატავდა. 2008 წლის 14 მარტს განმცხადებლის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს უზენაესს სასამართლოს, განეხილა აპლიკანტის 2004 წლის 5 იანვრის საკასაციო საჩივარი. 2008 წლის 21 ივლისს, უზენაესმა სასამართლომ, ზეპირი განხილვის გარეშე, არ დააკმაყოფილა განმცხადებელი კლუბის მოთხოვნა საქმის ხელახლა განხილვის შესახებ, ვინაიდან მათ არ მიუთითებიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე (განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ) და 423-ე (განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ) მუხლში ჩამოთვლილი საქმის ხელახლა განხილვის დაწყების საფუძველებიდან ერთ-ერთი. ეროვნულ დონეზე მხოლოდ ზემოთ მითითებული მუხლები წარმოადგენდნენ ამგვარი სარჩელის წარდგენის სამართლებრივ საფუძველს.

2010 წლის 4 მაისს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ადგენს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა, არის ახლად აღმოჩენილი გარემოება და, შესაბამისად, წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების საფუძველს. თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა, სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს:

„მუხლი 423. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

მუხლი 423§4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა.

მუხლი 426§2: ამ კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლის არსებობისას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში.

მუხლი 426§4: ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა.”

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2010 წლის 15 მაისს.

გარდა ამისა, სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეში გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით, კანონმდებელმა გარდამავალ დებულებებში უზრუნველყო იმ ფიზიკური ან იურიდიული პირების შესაძლებლობა, რომლებსაც უკვე უარი ეთქვათ საქმის ხელახლა განხილვაზე, ცვლილებების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, წარედგინათ ახალი მოთხოვნები:

„ მუხლი 444. ადამიანის უფლებათა ევროპი ს სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

ამ კანონის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ვრცელდება აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთაც უარი ეთქვათ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე, თუ ისინი სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით მიმართავენ 2010 წლის 15 ივნისამდე.”

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა კლუბმა ამ უფლებით არ ისარგებლა.

საბოლოოდ, 2009 წელს, განმცხადებელმა კლუბმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6, მე-13 და 46-ე მუხლზე დაყრდნობით, ახალი აგანცხადი წარადგინა.

II. ზოგადი ღონისძიებები

სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების შესახებ დებულებები შეიცვალა. მოქმედი დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

შეიცვალა კოდექსის 39-ე მუხლი, რომელიც ადგენს სახელმწიფო ბაჟის ოდენობას და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა გაიზარდა. კოდექსის 47-ე მუხლი ეხება „სასამართლო ხარჯების გადასახადისგან განთავისუფლებას სასამართლოს მიერ” და ადგენს, რომ „მოსამართლეს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან”. მოსამართლემ უნდა მიიღოს მოტივირებული განჩინება. და ბოლოს, კოდექსის 48-ე მუხლი ადგენს, რომ „სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებებს წარუდგენს.”

ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tchankotadze v. Georgia)⁵
№ 15256/05, § ..., 21 ივნისი, 2016 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (სამართლიანი განხილვა);

სამართლიანი დაკმაყოფილება: მატერიალური ზიანი არ მიეკუთვნა; 20 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 15 000 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

განმცხადებელი იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარე 2002 წლის 12 მარტიდან 2014 წლის 13 მარტამდე, სანამ თანამდებობიდან გადადგებოდა. 2004 წლის მარტში განმცხადებელს ბრალი წაუყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებაში. კერძოდ, მას ბრალად ედებოდა სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის დროს სამ სამოქალაქო ავიაციის კომპანიასთან სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლის თანახმადაც, აღნიშნულმა კომპანიებმა სააგენტოსთვის „საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების საფასურის“ ყოველთვიური გადახდის ვალდებულება აიღეს. განმცხადებელს ასევე ბრალად ედებოდა 2003 წლის ნოემბერში N1 ბრძანების გამოცემა, რომლის მიხედვით სააგენტომ ზემოხსენებული საფასური კიდევ რამდენიმე კომპანიას დააკისრა. გამომძიებლის მტკიცებით, კომპანიებისთვის მომსახურების საფასურის დაკისრებით, ბ-ნმა ჭანკოტაძემ დაარღვია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც კომპანიების მიერ სააგენტოსთვის „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასურის“ გადახდა არაკონსტიტუციურად ცნო.

2004 წლის 16 მარტს ბ-ნი ჭანკოტაძე დააპატიმრეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ განმცხადებელს სამი თვით პატიმრობა შეუფარდა, გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს. პატიმრობის წინააღმდეგ წარდგენილი მისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2004 წლის ივნისში

⁵ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/chankotadze-saqartvelos-winaagmdeg.pdf>

განმცხადებლის პატიმრობა გაგრძელდა 2004 წლის 16 სექტემბრამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ის კვლავ პატიმრობაში დარჩა. 2005 წლის თებერვალში განმცხადებელი დავობდა, რომ 2004 წლის სექტემბრიდან ის უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. კომპეტენტურმა სასამართლომ, მის საჩივარზე პასუხის გაცემის გარეშე, 2005 წლის 16 მარტს ძალაში დატოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება „სისხლისსამართლებრივი ბრალდების ბუნების” საფუძველზე.

2005 წლის აგვისტოში საქმის განმხილველმა სასამართლომ ბ-ნი ჭანკოტაძე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნო, ხოლო ერთში გაამართლა. სააპელაციო სასამართლომ 14 კომპანიასთან მიმართებით წარდგენილ ბრალში განმცხადებელი გაამართლა, თუმცა დარჩენილი ნაწილი უცვლელად დატოვა. 2006 წლის სექტემბერში უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელი აცხადებდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად არ დაასაბუთეს მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, როდესაც განმცხადებელი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნეს.

სასამართლოს შეფასება (§§ 102-109)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ ხაზი გაუსვა მის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილებებში სათანადოდ უნდა მიეთითოს ამ გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი, რათა ჩანდეს, რომ მხარეებს სათანადოდ მოუსმინეს და უზრუნველყოფილ იქნას მართლმსაჯულების განხორციელების საზოგადოებრივი კონტროლი. წინამდებარე საქმის განხილვისას, სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გაითვალისწინეს განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებსაც შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა განმცხადებლის ბრალის განსაზღვრისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს ჰქონდა საშუალება ესარგებლა სამართლიანი საქმის განხილვის უფლებით.

„102. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ფუნქციებში არ შედის ეროვნული სასამართლოების მიერ სავარაუდოდ დაშვებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვა (იხ. საქმე *Tejedor García v. Spain*, 1997 წლის 16 დეკემბერი, §

31, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული 1997-VIII; და საქმე *Buzescu v. Romania*, no. 61302/00, § 63, 2005 წლის 24 მაისი), სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ მისი დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების პრინციპებს ასახავს, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებში სათანადოდ უნდა მიეთითოს ამ გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი, რომელიც მოკლებული უნდა იყოს აშკარა თვითნებობას, რათა ჩანდეს, რომ მხარეებს სათანადოდ მოუსმინეს, და უზრუნველყოფილ იქნას მართლმსაჯულების განხორციელების საზოგადოებრივი კონტროლი (იხ. საქმე *Taxquet v. Belgium* [GC], no. 926/05, § 91, ECHR 2010; საქმე *Salov v. Ukraine*, no. 65518/01, §§ 89-92, ECHR 2005-VIII (ამონარიდები), საქმე *ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, no. 7932/03, § 71, 2009 წლის 24 თებერვალი; და საქმე *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, § 30, 2001 წლის 27 სექტემბერი).

103. რა თქმა უნდა, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ითხოვდეს დაწვრილებით პასუხის გაცემას მხარეების მიერ წამოყენებულ ყველა არგუმენტზე, ხოლო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეასრულა სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებითაა შესაძლებელი (იხ. საქმე *Ruiz Torija v. Spain*, 1994 წლის 9 დეკემბერი, § 29, Series A no. 303-A, საქმე *Suominen v. Finland*, no. 37801/97, § 36, 2003 წლის 1 ივლისი; და საქმე *Boldea v. Romania*, no. 19997/02, § 30, 2007 წლის 15 თებერვალი). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოს გააჩნია გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება კონკრეტულ საქმეში არგუმენტების შერჩევასა და მხარეთა არგუმენტების გამამყარებელი მტკიცებულების დასაშვებად ცნობისას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ჰქონდეს მოლოდინი სასამართლოსგან კონკრეტული და ცალსახა პასუხის, აღნიშნულ არგუმენტებთან დაკავშირებით, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული საქმის შედეგისათვის (იხ. საქმე *Hiro Balani v. Spain*, 1994 წლის 9 დეკემბერი, §§ 27-28, Series A no. 303-B; საქმე *Grădinar v. Moldova*, no. 7170/02, §§ 107-108, 2008 წლის 8 აპრილი; და საქმე *Gheorghe v. Romania*, no. 19215/04, § 43, 2007 წლის 15 მარტი).

104. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ქვემოთ მოცემული ორი კონკრეტული ქმედების გამო, რომელიც მან განახორციელა სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნისას: (i) ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა, 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს მომსახურების ხელშეკრულებები გააფორმა სამოქალაქო ავიაციის სამ კომპანიასთან, რათა მათგან, 2003 წლის 1 აპრილიდან 1

ოქტომბრამდე პერიოდში, მომსახურების საფასური აეკრიფა, რომელიც რეალურად შენიღბულ რეგულირების საფასურს წარმოადგენდა და (ii) ის ფაქტი, რომ იმავე რეგულირების საფასურის აკრეფა გაგრძელდა რვა სხვა სამოქალაქო ავიაციის კომპანიისგან №1 ბრძანების საფუძველზე, რომელიც უკანონოდ გამოიცა განმცხადებლის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს.

105. პირველ ეპიზოდთან მიმართებაში, რომელიც ეხებოდა სააგენტოს მიერ კომპანიებისგან მომსახურების საფასურის აკრეფას 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე, ეროვნულმა ორგანოებმა პასუხისგებაში მისცეს განმცხადებელი მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო, რომელიც სავარაუდოდ უკრძალავდა ადმინისტრაციას სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის რაიმე საფასურის დაწესებას. თუმცა, აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით, შეუძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად აუკრძალა სააგენტოს მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონმდებლობით გათვალისწინებული „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასურის“ გადახდის ვალდებულება. თუმცა, იმავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, სააგენტოს მიერ წამოყენებული არგუმენტის საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც სააგენტო, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას მომსახურების საფასურის აკრეფის გარეშე და სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განიხილა ის მოსაზრება, რომ პირიქით, კონსტიტუციური თვალსაზრისით უმჯობესი იყო, რომ სააგენტოსა და სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის ნებაყოფილობით დაემყარებინათ სახელშეკრულებო ურთიერთობები, რომელთა თანახმადაც ეს კომპანიები აიღებდნენ სახელშეკრულებო ვალდებულებას გადაეხადათ სააგენტოს მიერ გაწეული მარეგულირებელი მომსახურების საფასური საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონის მე-13 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად (იხ. ზემოთ მე-11-12 და მე-16 პარაგრაფები). აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის რთულია გაიგოს, თუ რატომ არ უზრუნველყო თბილისის საქალაქო სასამართლომ, სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისთვის განმცხადებლის დამნაშავედ ცნობისას დამაჯერებელი პასუხის გაცემა განმცხადებლის დაცვის მთავარ არგუმენტზე, რომ ის უბრალოდ ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო

სასამართლოს მითითებით ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებით (შედარებისთვის იხილეთ ზემოთ 43-ე და 47-ე პარაგრაფები). ასევე, მნიშვნელოვანია 2004 წლის 20 ივლისის აუდიტორული დასკვნა, საგამოძიებო ღონისძიება, რომელიც თავად ხელისუფლებამ განახორციელა და რომლის თანახმადაც, განმცხადებლის მიერ სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნისას სადავო ხელშეკრულებების ინიცირება და გაფორმება აშკარად საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელდა (იხ. ზემოთ 22-26-ე პარაგრაფები). სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებათაგან მინიმუმ ერთი, კერძოდ მეორე ხელშეკრულება, რომელიც 2003 წლის 13 აგვისტოს გაფორმდა, ემყარებოდა დამატებით სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ კი პრეზიდენტის 2003 წლის 25 ივლისის №354 ბრძანებულებას. აღნიშნული ბრძანებულება პირდაპირ მიუთითებდა, რომ სააგენტოს უფლება ჰქონდა, კერძო ხელშეკრულების საფუძველზე, დაეკისრებინა საფასური სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისთვის მარეგულირებელი მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ამ მხრივ აღსანიშნავი იყო ის, რომ თავად ბრძანებულება ხაზგასმით აღნიშნავდა თავის პრეამბულაში, რომ სააგენტოს მიერ ამ რეჟიმში მუშაობა „შეესაბამებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებას“ (იხ. ზემოთ 82-ე პარაგრაფი).

106. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, რომელსაც განმცხადებლის ბრალდება ეფუძნებოდა, კერძოდ 2003 წლის 25 ნოემბრის №1 ბრძანების საფუძველზე [კომპანიებისთვის] რეგულირების საფასურის დაკისრება 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 2004 წლის 16 მარტამდე პერიოდში, ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ განმცხადებლის მიერ რეგულირების საფასურის ცალმხრივად დაწესება იყო უკანონო, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა რეგულირების შესახებ კანონი და ამოღებულ იქნა ყველა მითითება „სატრანსპორტო საქმიანობის რეგულირების ყოველწლიური საფასურის“ შესახებ. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა რეაგირება არ მოახდინეს თავისთავად ცხად ფაქტზე იმასთან დაკავშირებით, რომ ბრძანება №1 ეფუძნებოდა სახელმწიფო რეგულირების შესახებ კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტს, გარდამავალ დებულებას, რომელიც აღნიშნულ კანონში 2003 წლის 14 აგვისტოს ცვლილებებით შევიდა. კერძოდ, გარდამავალი დებულების თანახმად, სააგენტოს, როგორც ტრანსპორტის მარეგულირებელ ორგანოს, უფლება ჰქონდა თავად დაეწესებინა რეგულირების საფასური პარლამენტის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო აქტის მიღებამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ახალმა კანონმა რეგულირების საფასური

მოგვიანებით, კერძოდ, 2004 წლის 30 ივნისს დაადგინა (იხ. ზემოთ 83-ე პარაგრაფი), რთულია იმის გაგება, თუ რატომ იყო არამართლზომიერი განმცხადებლის მიერ ამ საკითხის მოწესრიგება ზემოთ ხსენებული 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად 2003 წლის 25 ნოემბრის №1 ბრძანების გამოცემით. გარდა ამისა, თუ ამკარად უკანონო იყო განმცხადებლის მიერ №1 ბრძანების გამოცემა, რომელიც ძალაში 2003 წლის 1 ოქტომბერს შევიდა, მაშინ, იუსტიციის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების კანონიერების ზედამხედველობაზე, ჩვეულებრივ უნდა მიეთითებინა ყველა ის სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც საფუძვლად ედო ამ ბრძანებას. ამასთანავე, 2004 წლის 20 ივლისის აუდიტორული დასკვნის თანახმად, რომელიც საქმის მასალებში არსებულ მტკიცებულებებს შორის სასამართლო ექსპერტიზით მოპოვებულ ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა, №1 ბრძანების გამოცემისას განმცხადებელი ამკარად მოქმედებდა იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის დაცვით (იხ. ასევე ზემოთ მე-80 და 81-ე პარაგრაფები).

107. სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა ზემოთ ხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტის დაზუსტება აუცილებელი იყო განმცხადებლის ბრალის დასადგენად ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით. თუმცა, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებელმა სათანადოდ წარმოადგინა ყველა შესაბამისი არგუმენტი ეროვნული სასამართლო ორგანოების წინაშე (იხ. ზემოთ 28-ე, 30-ე, 43-44-ე, 50-ე და 52-ე პარაგრაფები), ეროვნულმა სასამართლოებმა ამკარად, სათანადოდ არ გაითვალისწინეს ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებში. რა თქმა უნდა არასწორია, რომ სამი სასამართლო ინსტანციიდან არცერთი არ შეეცადა თავის გადაწყვეტილებაში განეხილა ურთიერთკავშირი განმცხადებლის ქმედებებს შორის, ის თუ ზუსტად რას მიუთითებდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება და როგორი იყო კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ.

108. ზემოაღნიშნული ფაქტორები სასამართლოსთვის საკმარისია რათა დაასკვნას, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გაითვალისწინეს განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ზემოთ მოცემული მნიშვნელოვანი ასპექტები. ამ ასპექტებს, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა განმცხადებლის ბრალის განსაზღვრისას (შედარებისთვის, იხილეთ ზემოთ მითითებული საქმეები *Salov*, § 92, *Grădinar*, §§ 114 and 115 და *Gheorghe*, § 50). აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოქმნილი შეუსაბამობის გამო, განმცხადებლის მსჯავრდება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით არ იქნა დამაჯერებლად განსაზღვრული სასამართლო პრაქტიკის

ისეთი ობიექტური დამკვირვებლის თვალსაზრისით, როგორც ევროპული სასამართლოა. წინამდებარე საქმეში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს არა განმცხადებლის პირადი პასუხისმგებლობა ან დანაშაულის ელემენტების დადგენა, ე.ი. საკითხები, რომლებიც მხოლოდ ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაში შედის, არამედ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში საკმარისი დასაბუთების არარსებობა, რის გამოც სასამართლოს არ ესმის, თუ საერთოდ რატომ იქნა განხილული დანაშაულებრივად განმცხადებლის ქმედებები, კერძოდ საფასურის აკრეფა მომსახურების ხელშეკრულებებისა და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს ჰქონდა საშუალება ესარგებლა სამართლიანი საქმის განხილვის უფლებით იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით განსაზღვრული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულის ფარგლები, გაუგებრად და, ამგვარად, თვითნებურად იქნა განმარტებული ეროვნული სასამართლოების მიერ განმცხადებლის საზიანოდ.

109. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.”

აღსრულება

საქმის აღსრულება მიმდინარეობს.

გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ (Gorgiladze v. Georgia)⁶

№ 4313/04, 20 ოქტომბერი, 2009 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება... კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო);

სამართლიანი დაკმაყოფილება: 5 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

⁶ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/gorgiladze.pdf>

ფაქტები:

განმცხადებელი, დავით გორგილაძე, 1981 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა. 2002 წლის 30 ივნისის დადგენილებით, გამომძიებელმა მას ბრალი წაუყენა მამა-შვილის მკვლელობისათვის. განმცხადებელმა გამოიყენა დუმილის უფლება და მხოლოდ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებით შემოიფარგლა. 2002 წლის 1-ელ ივლისს ლანჩხუთის რაიონულმა სასამართლომ მას 3 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, რომელიც შემდგომ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, 2002 წლის 23 სექტემბერს გახანგრძლივდა. 2002 წლის 29 დეკემბერს კომპეტენტურმა პროკურორმა საბრალდებო დასკვნა და განმცხადებლის საქმე განაჩენის გამოსატანად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. 2003 წლის 21 მაისს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, რომელიც 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულისაგან შედგებოდა, განმცხადებელი დამნაშავედ ცნო მის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. განმცხადებლის შემდგომი სარჩელი უზენაესი სასამართლოს 3 პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარმა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი, *სხვებს შორის*, დავობდა, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ის პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ იყო „კანონის საფუძველზე შექმნილი“, იმ თვალსაზრისით, რომ კოლეგია შედგებოდა 2 არაპროფესიონალი მსაჯულისგან, რომლებსაც არ ჰქონდათ მოსამართლის ფუნქციების განხორციელების იურიდიული კომპეტენცია.

სასამართლოს შეფასება (§§ 67-75)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ მიმოიხილა მის მიერ გაკეთებული განმარტებები „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლოსთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონის საფუძველზე, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განიხილოს დავები. სასამართლოს განმარტებით, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მის შემადგენლობას

თითოეული საქმის განხილვისას. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა, ვინაიდან განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორი პირის მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა.

„67. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. აღნიშნული ტერმინი ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების სისტემის განუყოფელ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს. ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განიხილოს კერძო პირთა დავები (*Lavents c. Lettonie*, no 58442/00, §114, 28 novembre 2002).

68. კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ, ასევე შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევა კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას (*Gurov c. Moldova*, no 36455/02, §36, 11 juillet 2006). გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული საქმის განხილვისას (*Buscarini c. Saint-Marin* (déc.), no 31657/96, 4 mai 2000 ; *Posokhov c. Russie*, no 63486/00, §39, CEDH 2003-IV).

69. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ჩაწერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამოორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას (*Coëme et autres c. Belgique*, nos 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 et 33210/96, §§ 98

et 107, CEDH 2000-VII ; *Savino et autres c. Italie* , nos 17214/05, 20329/05 et 42113/04, §94, 28 avril 2009). აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომელიც აჭარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას (*Sokourenko et Strygoun c. Ukraine* , nos 29458/04 et 29465/04, §§ 23-28, 20 juillet 2006).

70. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციებს მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ (§19-ში მითითებული შრომის კოდექსი).

71. სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლის საქმის განხილვაში ორი მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლს. ის ასევე ემყარებოდა სსსკ-ის 434-ე (§1) მუხლს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმცხადებლის საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თვით არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

72. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნას „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე საჩივარში ისმის კითხვა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას. მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ თვალსაზრისით, რომ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა (§19, „გ“ პუნქტი *in fine*), აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სსსკ-ის 44-ე (§2) მუხლის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ფაქტების დადგომის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და საგანგებოდ დაესვა რა შეკითხვები

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი არეგულირებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას – კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ – ფაქტების დადგომის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდგომში, მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

73. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული არჩეულ იქნა 1991 წლის 14 ივნისს, მაშინდელი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ამასთანავე, თვით 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებით, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არეგულირებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა (§72).

74. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, მათ ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციების გახორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

75. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2012 წლის 26 სექტემბერს მიღებული CM/ResDH(2012)125 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიება

ბ-ნ გორგილაძეს მსჯავრი დაედო 2003 წლის 21 მაისს; სასჯელის სახით მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი სასჯელს კვლავ იხდიდა. კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ განაცხადა, როდესაც პირველ ინსტანციაში პირს ასამართლებს ტრიბუნალი, რომელიც კონვენციის 6.1 მუხლის საწინააღმდეგოდ, არ არის კანონის საფუძველზე შექმნილი, და როდესაც საქმის არსებითი გარემოებები მას შემდეგ აღარ განხილულა, დარღვევის გამოსწორების სათანადო გზაა, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე სამართალწარმოების განახლება ან საქმის განხილვის ხელახლა დაწყება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, კერძოდ, დაამატა 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. 2012 წლის 1-ელ იანვარს, ძალაში შევიდა ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 1-ელ იანვრამდე მიღებული გადაწყვეტილებების მხარეებს უფლებას აძლევდა 2012 წლის 1-ელ ივლისამდე მოეთხოვათ საქმის ხელახლა განხილვა.

2012 წლის 23 იანვარს მთავრობის წარმომადგენელმა ბ-ნ გორგილაძეს (ერთადერთი განმცხადებელი, რომელიც კვლავ ციხეში იყო) აცნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვის შესახებ განცხადების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, განმცხადებლებს საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნა არ წარუდგენიათ.

2012 წლის 19 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა დამატებითი ცვლილებები, რომელთა თანახმად საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო გახდება.

II. ზოგადი ღონისძიებები

2005 წლის 25 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართალი კოდექსში გაუქმდა მსაჯული მოსამართლეების ინსტიტუტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება ითარგმნა ქართულ ენაზე, გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეში და გადაეგზავნა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს. გადაწყვეტილების ქართული ვერსიის ნახვა შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2010 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები“ - ეს კრებული წარმოადგენს 2004 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების კომპილაციას და ის დაურიგდა ეროვნულ სასამართლოებს.

ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Pandjikiidze and others v. Georgia)⁷
№ 30323/02, 27 ოქტომბერი, 2009 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება... კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო);

⁷ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/fanjikiidzedasxvebi.pdf>

სამართლიანი დაკმაყოფილება: 6 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

ფაქტები:

განმცხადებლები, არჩილ ფანჯიკიძე, გუჯარ ყურაშვილი და კახაბერ ქანთარია, თბილისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები არიან. 1999 წლის აპრილში, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურის ხელთ არსებული ინორმაციის საფუძველზე, უშიშროების სამინისტროს საგამომიებო სამსახურის უფროსმა, საქართველოს ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მომზადების ბრალდებით, გარკვეულ პირთა X ჯგუფის მიმართ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. აღნიშნული დაჯგუფება სავარაუდოდ მართული იყო რუსეთში მცხოვრები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის მიერ და მის მიზანს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ფიზიკური ლიკვიდაცია წარმოადგენდა.

შემდგომ განხორციელებული გამოძიების კონტექსტში და ფარულ მოსმენებს დაქვემდებარების შემდეგ, 1999 წლის მაისში განმცხადებლები დააკავეს. *სხვებს შორის*, მათ ბრალი წაუყენეს ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობით სამშობლოს ღალატში და ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობასა და მომზადებაში; 2001 წლის 8 ნოემბრის განაჩენით, 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულისგან შემდგარმა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განმცხადებლები დამნაშავედ ცნო შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სამშობლოს ღალატში. სასჯელის სახით თითოეულ მათგანს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. 2002 წლის 25 იანვარს, 3 მოსამართლისგან შემდგარმა სისხლის სამართლის კოლეგიამ, ძალაში დატოვა 2001 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება.

კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება არასამართლიანი იყო, ვინაიდან პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი სასამართლო არ იყო „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“, რადგან მსაჯულები სამართლებრივად უფლებამოსილები არ იყვნენ განხორციელებინათ სამოსამართლო საქმიანობა.

სასამართლოს შეფასება (§§ 103-111)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ განაცხადა, რომ მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების 1-ლი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არეგულირებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, განმცხადებლების საქმის განხილვის პერიოდში, აღარ არსებობდა. შესაბამისად, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ იყო „კანონის საფუძველზე შექმნილი“.

„103. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. აღნიშნული ტერმინი ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების სისტემის განუყოფელ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს. ორგანო რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განიხილოს კერძო პირთა დავები (*Lavents c. Lettonie*, no 58442/00, § 114, 28 novembre 2002).

104. კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ, შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევა კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას (*Gurov c. Moldova*, no 36455/02, §36, 11 juillet 2006). გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული საქმის

განხილვისას (*Buscarini c. Saint-Marin* (déc.), no 31657/96, 4 mai 2000 ; *Posokhov c. Russie* , no 63486/00, § 39, CEDH 2003-IV).

105. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ჩაწერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია, არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას (*Coëme et autres, précité*, §§ 98 et 107 ; *Savino et autres c. Italie* , nos 17214/05, 20329/05 და 42113/04, §94, 28 avril 2009). აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომელიც აჭარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას (*Sokourenko et Strygoun c. Ukraine* , nos 29458/04 et 29465/04, §§ 23-28, 20 juillet 2006).

106. უბრუნდება რა მოცემული საქმის გარემოებებს, სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების 1-ლი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უბრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციებს მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ (§46, „ე“ პუნქტში მითითებული შრომის კოდექსი).

107. სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლების საქმის განხილვაში 2 მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლს. ის ასევე ემყარებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 434-ე მუხლის I პარაგრაფს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმცხადებლების საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თვით არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

108. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს „კანონის

საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე განაცხადში იმის კითხვა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას. მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ თვალსაზრისით, რომ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა (§19 „გ“ *in fine*), აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სსსკ-ის 44-ე (§2) მუხლის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ფაქტების დადგომის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და საგანგებოდ დაესვა რა შეკითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი არეგულირებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას – კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ – ფაქტების დადგომის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდგომში, მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

109. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლების საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული არჩეულ იქნა 1991 წლის 14 ივნისს, მაშინდელი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ამასთანავე, 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებით, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდიულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არეგულირებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა (§109).

110. დასკვნის სახით, განმცხადებლების საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა, მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, მათ ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციების გახორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

111. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2012 წლის 26 სექტემბერს მიღებული CM/ResDH(2012)125 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიება

საქმეში „*ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*“, 2001 წლის 8 იანვარს განმცხადებლები დამნაშავედ ცნეს სამშობლოს ღალატში. სასჯელის სახით მათ მიესაჯათ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ერთ განცმხადებელს ორი წლითა და 5 თვის ვადით. განმცხადებლები სასჯელის მოხდის შემდეგ გაათავისუფლეს. კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ განაცხადა, როდესაც პირველ ინსტანციაში პირს ასამართლებს ტრიბუნალი, რომელიც კონვენციის 6.1 მუხლის საწინააღმდეგოდ, არ არის კანონის საფუძველზე შექმნილი, და როდესაც საქმის არსებითი გარემოებები მას შემდეგ აღარ განხილულა, დარღვევის გამოსწორების სათანადო გზაა, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე სამართალწარმოების განახლება ან საქმის განხილვის ხელახლა დაწყება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, კერძოდ, დაამატა 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. 2012 წლის 1-ელ

იანვარს, ძალაში შევიდა ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 1-ელ იანვრამდე მიღებული გადაწყვეტილებების მხარეებს უფლებას აძლევდა 2012 წლის 1-ელ ივლისამდე მოეთხოვათ საქმის ხელახლა განხილვა.

მიუხედავად ამისა, განმცხადებლებს საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნა არ წარუდგენიათ.

2012 წლის 19 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა დამატებითი ცვლილებები, რომელთა თანახმად საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო გახდება.

II. ზოგადი ღონისძიებები

2005 წლის 25 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართალი კოდექსში გაუქმდა მსაჯული მოსამართლეების ინსტიტუტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება ითარგმნა ქართულ ენაზე, გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეში და გადაეგზავნა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს. გადაწყვეტილების ქართული ვერსიის ნახვა შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2010 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები“ - ეს კრებული წარმოადგენს 2004 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების კომპილაციას და ის დაურიგდა ეროვნულ სასამართლოებს.

ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Kharitonashvili v. Georgia)⁸
№ 41057/04, 10 თებერვალი, 2009 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება);

სამართლიანი დაკმაყოფილება: ეროვნულ დონეზე საქმის განხილვის დასრულება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში; 3 200 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

1999 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის დედა ოჯახის სახლის ნაწილის მესაკუთრედ აღიარა. განმცხადებლის თქმით, სახლის მისი კუთნილი ნაწილი, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დედამ საკუთრებაში გადასცა, ეკავა ბატონ ე-ს - ოჯახის ნათესავს, რომელსაც ფართი 1923 წლიდან იჯარით ჰქონდა აღებული. მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა იყო არაფორმალური იჯარა, რომლის ფარგლებშიც მოიჯარეებს საკუთრება ეკავათ მფლობელის თანხმობით, რაიმე პირობის გარეშე. 2000 წლის 17 თებერვალს განმცხადებელმა ბ-ნი ე-ს, მისი მეუღლისა და დედის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა მათი გასახლება ქირის გადაუხდელობის საფუძველზე. აღნიშნული საქმის განხილვა რამდენიმეჯერ გადაიდო სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის იყო განმცხადებლის ავადმყოფობისა და მისი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო. იგი 2001 წლის აგვისტოში დაბრუნდა, რის შესახებაც რაიონულ სასამართლოს დროულად ეცნობა. 2001 წლის 6 ნოემბერს განმცხადებელმა სასამართლოში შეიტანა შეცვლილი სასარჩელო მოთხოვნა და დამატებითი დოკუმენტები. საქმის განხილვა კვლავ რამდენიმეჯერ გადაიდო, ამჯერად მოსამართლის ბიულეტენის, მოპასუხეთა ადვოკატის დაუსწრებლობისა და მისი მხრიდან განახლებული სასარჩელო განაცხადის შესწავლის გამო. მოპასუხებმა რაიონულ სასამართლოს სთხოვეს გასახლების პროცესის გადავადება, ვინაიდან მათ

⁸ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/xaritonashvili.pdf>

1999 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საქმის გადასინჯვის მოთხოვნა წარადგინეს. მათი ზემოხსენებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განმცხადებლის შუამდგომლობის საფუძველზე განახლდა გასახლების პროცესი, რომელიც კვლავ არაერთხელ გადაიდო და, საბოლოოდ, საქართველოს სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის შედეგად, განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა. საქმის მასალებიდან იკვთებოდა, რომ აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოება განაცხადის წარდგენის დროსაც მიმდინარეობდა - პროცესი 8 წელიწადსა და თერთმეტ თვეზე მეტხანს გაგრძელდა.

კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელმა გაასაჩივრა გასახლების პროცესის ხანგრძლივობა და არაკანონიერება.

სასამართლოს შეფასება (§§ 39-46)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა თუ რის საფუძველზე ფასდება პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა, კერძოდ, პროცესის ხანგრძლივობის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა მოხდეს: საქმის კომპლექსურობა და სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი უწყებების მოქმედებები და განმცხადებლის ინტერესი დავის ფარგლებში. მოცემულ საქმეზე სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ პროცესის ორგანიზებული მსვლელობა არ იყო უზრუნველყოფილი ადგილობრივი სასამართლოების მიერ და მიიჩნია, რომ განმცხადებლის საქმე არ იქნა მოსმენილი „გონივრულ ვადაში“, ვინაიდან რვა წელიწადი და თერთმეტი თვე გავიდა და პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლო საქმის არსებითი განხილვა.

39. სასამართლო აცხადებს, რომ პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა მოხდეს: საქმის კომპლექსურობა და სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი უწყებების მოქმედებები და განმცხადებლის ინტერესი დავის ფარგლებში (იხ. სხვა წყაროთა შორის, Mikulić v. Croatia, no. 53176/99, § 38, ECHR 2002-I).

40. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის დავა დაიწყო საბჭოთა პერიოდში და იჯარის სპეციფიკურ ელემენტებს ეხება, რომელსაც ითვალისწინებდა

საბჭოური სამოსახლო კანონი („отступной“), სასამართლოს მიაჩნია, რომ გასახლების პროცესი შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო, როგორც რთული და კომპლექსური.

41. პროცესი აშკარად მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის, იმის გამო, რომ სასწორზე იდო ოჯახისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე მისი საკუთრების უფლება.

42. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოსმენების საკმაოდ მცირე ნაწილი გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით და მისი განცხადებები/მოთხოვნები იყო საკმაოდ ვრცლად ფორმულირებული, რაც პროცესის ტემპს გარკვეულწილად აფერხებდა. თუმცა, გამოწვეული შეფერხებები არასოდეს ყოფილა მნიშვნელოვანი მოცულობის და მათი ხანგრძლივობა იყო ერთიდან ორ თვემდე (იხ. §§ 10, 12-14, 19- 20). აქედან გამომდინარე, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ განმცხადებლის მოქმედებები წარმოადგენდა მთლიანი პროცესის გაჭიანურების მიზეზს. გარდა ამისა, მოსმენის გადავადების თაობაზე განმცხადებლის მიერ შეტანილ მოთხოვნათა უმეტესობა, განსაკუთრებით წინა-სასამართლო ეტაპზე, წარმოადგენდა მის მიერ საპროცესო უფლებათა განხორციელებას, რაც მიზნად ისახავდა საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას, რომელთა გარეშეც საქმის მომზადება არსებითი განხილვისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

43. რაც შეეხება სახელმწიფო უწყებების მოქმედებებს, სასამართლოსათვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მთლიანობაში მოსმენები რეგულარული ინტერვალით ინიშნებოდა. სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება „საცხოვრებლის აქტის“ საფუძველზე გასახლების პროცესის დროებით შეჩერების თაობაზე გონივრული გადაწყვეტილება იყო. მოპასუხე სახელმწიფოს ჰქონდა დამატებითი რეგულაციების მათ შორის გასახლების პროცესის დროებით შეჩერების სისტემის შემოღების უფლება, დასახლების სექტორში საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემების მოგვარების მიზნით. ზოგადად, პროცესის იმ ვადით დაყოვნება, რაც საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემის დადებითად გადასაჭრელად, შეიძლება გამართლებული იქნას გამონაკლის შემთხვევებში (იხ. *mutatis mutandis*, *Immobiliare Saffi v. Italy* [GC], no. 22774/93, §§ 54, 69, 70 and 73, ECHR 1999-V; *Kutić v. Croatia*, no. 48778/99, §§ 27-31, ECHR 2002-II).

44. თუმცაღა, მთავრობას დამაჯერებელი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია იმის თაობაზე, თუ რატომ იყო უმოქმედოდ ადგილობრივი სასამართლოები დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში – 2006 წლის 13 მარტამდე (იხ. §§ 23-25), მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა 2005 წლის 20 ივლისს დააყენა პროცესის განახლების შუამდგომლობა. შედეგად, მოსმენების რეგულარული ინტერვალით დანიშვნის

პრაქტიკის აღდგენის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მაინც ვერ ახერხებდა საქმის დროულ განხილვას. სამწუხარო ფაქტია, რომ გასახლების პროცესი მიმდინარეობს უკვე 8 წლისა და 11 თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლო კი კვლავაც საწყის ეტაპზე არსებული საპროცესო სირთულეების წინაშე დგას, კერძოდ იხილავს სადავო სახლის ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას (იხ. §§ 10-11 და 29). რაც შეეხება მთავრობის მიერ მიზეზად დასახელებულ დაყოვნებული საქმეების დიდ ოდენობასა და სასამართლო სისტემის რეორგანიზაციას, სასამართლო ამტკიცებს, რომ საქმეების ქრონიკული დაგროვება არ არის გადამეტებული დაყოვნების დასაბუთებული ახსნა და მეორეც, კონვენციის წევრი სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს სასამართლოს ორგანიზებაზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ყოველი მოქალაქის უფლება მათი სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების დადგენასთან დაკავშირებით “გონივრულ ვადაში” (იხ. *Probstmeier v. Germany*, 1 July 1997, § 64, Reports of Judgments and Decisions 1997-IV; *Pavlyulynets v. Ukraine*, no. 70767/01, § 51, 6 September 2005; *G.H. v. Austria*, no. 31266/96, § 20, 3 October 2000).

45. სასამართლოს მიაჩნია, რომ მიმდინარე საქმეში მთავარი პრობლემა არის ის, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ არ იქნა მიღებული ეფექტური დისციპლინური ზომები მხარეების მიმართ და პროცესის ორგანიზებული მსვლელობა არ იქნა უზრუნველყოფილი. მაგალითისთვის, ადგილობრივ სასამართლოებს ორგანიზება რომ გაეკეთებინათ მხარეთა დამატებითი წარდგინებების წინასწარი გაცვლისათვის, საჭირო აღარ გახდებოდა ამ მიზეზით რამოდენიმე მოსმენის გადადება (იხ. §§ 16, 20 და 27). გარდა ამისა, არ ყოფილა გათვალისწინებული მხარეთათვის დამატებითი განმარტებების წარმოდგენაზე მოთხოვნათა რაოდენობის შეზღუდვის შესაძლებლობა. ადგილობრივი სასამართლოებს ასევე უნდა დაეწესებინათ მოთხოვნილი დოკუმენტებისა და ექსპერტის დასკვნების წარმოდგენის კონკრეტული ვადები სახელმწიფო უწყებებისათვის (იხ. *Rachevi v. Bulgaria*, no. 47877/99, § 90, 23 September 2004; *Peryt v. Poland*, no. 42042/98, § 57, 2 December 2003; *Sobierajska-Nierzwicka v. Poland*, no. 49349/99, § 112, 27 May 2003).

46. წარმოდგენილი საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ რვა წელიწადი და თერთმეტი თვე გავიდა და პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლო საქმის არსებითი განხილვა (იხ. *Csanádi v. Hungary*, no. 55220/00, §§ 35 and 16, 9 March 2004; *Sobierajska-Nierzwicka*, cited above, § 113), სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის საქმე არ იქნა მოსმენილი „გონივრულ ვადაში“.

ამგვარად, აღნიშნული წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2011 წლის 14 სექტემბერს მიღებული CM/ResDH(2011)106 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ მიაკუთვნა სამართლიანი დაკმაყოფილება.

სახელმწიფომ მიუთითა, რომ ეროვნული სამართალწარმოება დასრულდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2008 წლის 29 აპრილს. განმცხადებელმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2008 წლის 11 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ საკასაციო საჩივარი არ ყოფილა წარდგენილი კანონით გათვალისწინებული ათი დღის ვადაში, შესაბამისად, იგი საბოლოოა.

ამრიგად, მინისტრთა კომიტეტმა საჭიროდ აღარ მიიჩნია სხვა ინდივიდუალური ღონისძიების გატარება.

II. ზოგადი ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეზე დადგენილი დარღვევა ცალკეულ შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისი თარიღის მიხედვით, სასამართლოსთვის არ ყოფილა კომუნიცირებული განაცხადები გადაჭარბებული სამართალწარმოების შესახებ.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საქმის შემდეგ, შეიცვალა კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილიყო, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ორგანიზებულად წარიმართებოდა.

ა) საკანონმდებლო ცვლილებები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს პროცედურულ საკითხებსა და საპროცესო ვადებს.

სასამართლო გასახლებასთან დაკავშირებულ ვადებს განიხილავს არაუგვიანეს ერთი თვისა (მუხლი 59§3).

საქმის მოსამზადებელ ეტაპზე მოსამართლე მოპასუხეს შესაგებლის წარსადგენად განუსაზღვრავს 14 დღიან, ხოლო რთულ საქმეებზე 21 დღიან ვადას (მუხლი 201§1). მოცემული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგალითად, როგორცაა ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პირისგან გამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდიდა სასამართლო პროცესზე გამოცხადებას (მუხლი 215§3).

მოსამართლეს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მხარეთა შუამდგომლობები, რომლებიც მისი მოსაზრებით შეიცავს სამართალწარმოების არაგონივრულად გაჭიანურების რისკს (მუხლი 215§3).

საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი საპროცესო მოქმედებების შესრულება, როგორცაა მორიგება, ექსპერტთა დასკვნების მომზადება ან ადგილის დათვალიერება და სხვ. ზემოხსენებული საპროცესო მოქმედებების განხორციელება შეიძლება მხოლოდ გონივრულ ვადაში, რომელსაც განსაზღვრავს მოსამართლე მხარეთა არგუმენტებისა და მთლიანად სამართალწარმოების საფუძველზე. მხარეები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ საქმე კანონით დადგენილ ვადებში განიხილება (მუხლი 216§1).

როდესაც სასამართლოები ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გამოითხოვენ წერილობით მტკიცებულებებს, ისინი შესაბამის ვადებს ადგენენ. ზემოხსენებული ვადის დაუცველობა გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით. დაჯარიმება არ ათავისუფლებს პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვნილი წერილობითი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან. წერილობითი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო შესაბამის პირს აჯარიმებს სამმაგი ოდენობით (136-ე მუხლი).

ბ) პუბლიკაცია/ ადამიანის უფლებათა ევროპული გადაწყვეტილებების გავრცელება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ითარგმნა და 2009 წლის 11 ნოემბერს ოფიციალურ მაცნეში გამოქვეყნდა.

წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე მოცემულია გამოცემაში სათაურით „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული საქართველოს საქმეებზე“, რომელიც 2010 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა. ზემოთ ხსენებული გამოცემა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2004-2010 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების კრებულს და ის დარიგდა ეროვნულ სასამართლოებში. შედეგად, ამაღლდა ეროვნული სასამართლოების ცნობიერება სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

„დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“ (Dadiani and Machabeli v. Georgia)⁹
№ 8252/08, 12 ივნისი, 2012 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება...”

⁹ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/dadiani,machabeli.pdf>

კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო);

სამართლიანი დაკმაყოფილება: მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; 2 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 1 500 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

2004 წელს განმცხადებლებმა სარჩელი შეიტანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინააღმდეგ მათი სამკვიდრო მიწის რესტიტუციის მიზნით. 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლები მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ ცნო. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ოფიციალურად დარეგისტრირდა, როგორც მიწა №604. მოპასუხე მხარემ არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ის აღსასრულებლად სავალდებულო გახდა. 2005 წ. 26 ოქტომბერს, განმცხადებლებმა, ადვოკატის მეშვეობით, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გურჯაანის საჯარო რეესტრში წარადგინეს სააღსრულებლო ფურცლის ასლი 2005 წ. 31 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. 2005 წ. 2 ნოემბრის საპასუხო წერილში, გურჯაანის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო განმცხადებლების სახელზე ამ მიწის რეგისტრაცია, ვინაიდან მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. როგორც გაირკვა, ადვოკატების ბრალეულობით, საბოლოო გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული №604 მიწის ნაკვეთის არც ზომა და არც კატეგორია: იყო ეს სასოფლო სამეურნეო თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. გარდა ამისა, ადვოკატს ეთხოვა, წარმოედგინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე რწმუნებულება, რომელიც დაადასტურებდა მის უფლებას, დაეცვა განმცხადებელთა ინტერესები, სააღსრულებო ფურცლის ორიგინალი და სადავო მიწის საკადასტრო გეგმა.

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ 2005 წლის 2 ნოემბრის წერილის მიღების შემდეგ, ადვოკატები, მოქმედებდნენ რა მათი სახელით, რამდენჯერმე მივიდნენ გურჯაანის საჯარო რეესტრში და გამოთქვეს შეშფოთება გადაწყვეტილების აღსრულებლობასთან დაკავშირებით. ადვოკატების განცხადებით, მათ არ შეეძლოთ წარედგინათ სასამართლოს მიერ მიღებული, შეცვლილი საბოლოო გადაწყვეტილება. პასუხად, გურჯაანის საჯარო რეესტრმა უარი განაცხადა №604 მიწის რეგისტრაციაზე

სხვადასხვა მიზეზთა გამო. 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილება კვლავ აღუსრულებელი რჩება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ 2005 წლის 31 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას.

სასამართლოს შეფასება (§§ 43-52):

43. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ (იხ. ზემოაღნიშნული *Hornsby*, §40). ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იქნას მიჩნეული როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის. გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებით, მაგრამ ის ზიანს არ უნდა აყენებდეს მე-6 (§1) მუხლით დაცული უფლების არსს (იხ. სხვებს შორის, *Hornsby*, მითითებული ზემოთ, §40; *Jasiūnienė v. Lithuania*, no. 41510/98, § 27, 6 March 2003; *Qufaj Co. Sh.p.k. v. Albania*, no. 54268/00, § 38, 18 November 2004; and *Beshiri and Others v. Albania*, no. 7352/03, § 60, 22 August 2006).

44. მოსარჩელე მხარის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, აღასრულონ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება (იხ. ზემოაღნიშნული *Hornsby*, §41 და *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009). თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ, ვერ ახერხებენ ან აჭიანურებენ ამ ვალდებულების შესრულებას, მოსარჩელე მხარისთვის სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტია აზრს კარგავს (იხ. *Antonetto v. Italy*, no. 15918/89, §28, 20 July 2000).

45. გარდა ამისა, სასამართლო შეახსენებს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია საბოლოო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, როდესაც ფაქტორები, რომლებიც აფერხებს ან ხელს უშლის მათ სრულ და დროულ აღსრულებას, არის შესაბამისი ორგანოების კონტროლის ქვეშ (იხ. *Sokur v. Ukraine*, no. 29439/02, 26 April 2005, and *Kryshchuk v. Ukraine*, no. 1811/06, 19 February 2009). ამავე დროს, მოგებული მხარის

მიმართ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პროცედურული ზომების მიღების მოთხოვნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილების აღსრულება, იმ პირობით, რომ მოთხოვნილი ფორმალობები არსებითად არ ზღუდავს ან არ ამცირებს აღსრულების პროცედურაზე მხარის ხელმისაწვდომობას (იხ. *Kosmidis and Kosmidou v. Greece* , no. 32141/04, § 24, 8 November 2007; *Rompoti and Rompotis v. Greece* , no. 14263/04, § 26, 25 January 2007; *Apostol*, cited above, § 64; და *Burdov (no. 2)* , ხსენებული ზემოთ, §69). ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოს არ უნდა ათავისუფლებდეს კონვენციით დადგენილი ვალდებულებისგან, დროულად და საკუთარი ინიციატივით მიიღონ ზომები მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, რათა აღასრულონ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები (იხ. *Akashev v. Russia*, no. 30616/05, §22, 12 June 2008). სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის ვალდებულება, უპირველესად, სახელმწიფო სტრუქტურებს ეკისრებათ იმ მომენტიდან, როდესაც გადაწყვეტილება სავალდებულო და აღსრულებადი ხდება (იხ. *Stoycheva v. Bulgaria*, ხსენებული ზემოთ, §58).

46. წინამდებარე საქმეში, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ 2005 წ. 31 იანვრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობას. მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა მიწის მესაკუთრის ვინაობა და განმცხადებლებს შეეძლოთ მისი გამოყენება საჯარო რეესტრში მფლობელებად დარეგისტრირების მიზნით, შემდგომი დამატებითი ადმინისტრაციული ან სასამართლო განხილვის გარეშე. აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს ჰქონდათ საფუძვლიანი მოლოდინი, რომ გადაწყვეტილება შესაბამისი წესით აღსრულდებოდა.

47. მთავრობის მტკიცებით, გადაწყვეტილების აღუსრულებლობის მიზეზი იყო განმცხადებელთა მიერ, დამატებითი მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა. სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ რეგისტრატორის მოთხოვნა ისეთი დამატებითი დოკუმენტების წარდგენის თაობაზე, როგორცაა ადვოკატის პირადობის მოწმობის ასლი, რწმუნებულება და სააღსრულებლო ფურცლის ორიგინალი, არ წარმოადგენდა ერთპიროვნულ მოთხოვნას (იხ. ზემოხსენებული *Kosmidis and Kosmidou*, §24). თუმცა, სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილების აღსრულების გზაზე ძირითადი წინააღმდეგობა უკავშირდებოდა რეგისტრატორის წერილში სასამართლოს მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილების კრიტიკას იმ მოტივით, რომ ის არ იყო სრულყოფილი არსებით ნაწილში, ვინაიდან არ შეიცავდა ინფორმაციას №604 მიწის ნაკვეთის ზომის ან მისი კატეგორიის, სასოფლო-სამეურნეო თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შესახებ. სასამართლო იზიარებს განმცხადებლების აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ რეგისტრატორმა მათ

de facto დააკისრა ახალი სარჩელის შეტანის ვალდებულება სადავო გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საკითხი მდგომარეობს იმის გარკვევაში, ზედმეტად უშლის თუ არა განმცხადებლებს ხელს შესწორებული გადაწყვეტილების წარდგენის ვალდებულება მათ სასარგებლოდ მიღებული სავალდებულო, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაში.

48. უპირველეს ყოვლისა, ახალი სასამართლო პროცესის დაწყების ვალდებულებასთან დაკავშირებით, სასამართლო შეახსენებს, რომ პირს, რომელსაც გააჩნია საამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაკმაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით (იხ. ზემოთ ნახსენები *Burdov* (no. 2) § 72)).

49. მეორეს მხრივ, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრატორის მიხედვით, შეტანილი უნდა ყოფილიყო შესწორებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ №604 მიწის ნაკვეთის ზომა და დანიშნულება მანამდე იყო დადგენილი და ხელმისაწვდომი, სანამ სასამართლო სადავო გადაწყვეტილებას მიიღებდა (იხ. §41 ზემოთ). უფრო მეტიც, ამ სახის ინფორმაციას ფლობდა საჯარო რეესტრი, რომელიც *inter alia* პასუხისმგებელია უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენახვაზე (იხ. §15 ზემოთ) მთავრობას არ გაუპროტესტების განმცხადებელთა აღნიშნული არგუმენტი (იხ. §42 ზემოთ).

50. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ რეგისტრატორის მიერ იმ ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც იყო ან უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრის განკარგულებაში, არავითარ კანონიერ მიზანს არ ემსახურებოდა და მიზნად ისახავდა აღსრულების პროცესის გაჭიანურებას (იხ. ზემოაღნიშნული *Rompoti and Rompotis*, §§ 27-28).

51. სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, განმცხადებელთა სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა; სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გადაწყვეტილების აღსრულება შვიდ წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ განმცხადებელი მიიღებდა გარკვეულ პროცედურულ ზომებს მის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში (იხ. *Stoycheva*, §58), აღსრულების შესაბამისი ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გამოჩენილი ინერტულობა პასუხისმგებლობას აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს (იხ.

Cravcenco v. Moldova, no. 13012/02, § 45, 15 January 2008; Mirzayev v. Azerbaijan, no. 50187/06, §§ 35-36, 3 December 2009, and Kirilova and Others v. Bulgaria, nos. 42908/98, 44038/98, 44816/98 and 7319/02, § 121, 9 June 2005). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელთა მიერ დამატებითი დოკუმენტების წარუდგენლობამ შესაძლოა, ხელი შეუწყო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას (იხ. §47), ეს არ ათავისუფლებს შესაბამის ორგანოებს მათი ვალდებულებისგან, ადასრულონ სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება (იხ. Gjonbocari and Others v. Albania, no. 10508/02, §§ 52-53, 23 October 2007, and Stoycheva, cited above, § 58).

52. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არანაირად არ ამართლებს 2005 წ. 31 იანვრის საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დაღვევას.

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2013 წლის 10 ივლისს მიღებული CM/ResDH(2013)142 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიებები

2013 წლის 15 იანვარს საჯარო რეესტრის სააგენტომ განმცხადებლებს სადავო მიწაზე საკუთრების უფლება დაურეგისტრირა. ამ თვალსაზრისით დეტალური ინფორმაცია საჯაროა და უძრავი ქონების ელექტრონული საძიებო სისტემის მეშვეობით ის ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებგვერდზე (იხ. დანართები- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ასახავს განმცხადებლების საკუთრებას და მიწის საკადასტრო კოდი). ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მთავრობას მიაჩნია, რომ სხვა ინდივიდუალური ღონისძიების გატარება არ არის საჭირო.

II. ზოგადი ღონისძიებები

გადაწყვეტილება ითარგმნა ქართულ ენაზე და გამოქვეყნდა ოფიციალურ მაცნეში, ასევე იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ კრებულში. კრებული მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქართველოს წინააღმდეგ. გადაწყვეტილების ქართული თარგმანი სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის გურჯაანის საჯარო რეესტრში, გასავრცელებლად გაეგზავნა საჯარო რეესტრის სააგენტოს იურიდიულ დეპარტამენტს. ამასთანავე, წერილი გაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, სადაც განმარტებული იყო მიზეზები, რომელთა საფუძველზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ წინამდებარე საქმეზე დადგენილი დარღვევა ცალკეულ შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისი თარიღის მიხედვით, სასამართლოსთვის არ ყოფილა კომუნიცირებული განაცხადები იგივე საჩივრით. „დადიანისა და მაჩაბელის“ საქმის მსგავსი პრობლემატიკა ასევე არ ფიქსირდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 14 სექტემბერს, მინისტრთა კომიტეტის 1120-ე შეხვედრაზე, კომიტეტმა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შესახებ საბოლოო რეზოლუცია CM / ResDH (2011) 108 მიიღო. ეს ადასტურებს, რომ საქართველოში ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის სისტემური პრობლემა აღარ არსებობს.

„შპს „ამატ-ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia)¹⁰

№ 2507/03, 27 სექტემბერი, 2005 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

¹⁰ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/amatjidamebarishvili.pdf>

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (საქმის განხილვა გონივრულ ვადაში);

სამართლიანი დაკმაყოფილება: 200 000 ევრო მატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 2 000 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

1995 წელს დაარსდა შპს "Amat-G", რომელიც საქართველოში თევზის პროდუქტის იმპორტს აწარმოებდა. მეორე განმცხადებელი აღნიშნული კომპანიის დირექტორად დაინიშნა. 1998-99 წლებში "Amat-G" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სახის თევზის პროდუქტით ამარაგებდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ "Amat-G"-ის არსებული დავალიანების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა. 1999 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებლებმა ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ამის შედეგად 6.625.26 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრეს. 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატამ განმცხადებელი კომპანიის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და თავდაცვის სამინისტროს კომპანიისთვის 2.541.88 ლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და ის ძალაში შევიდა. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა, აპლიკანტის განცხადების საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროს მოთხოვა, დავალიანება ერთი თვის ვადაში დაეფარა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ აღმასრულებელმა იძულებითი აღსრულების ზომებს მიმართა, თუმცა ეს იყო მის მიერ მიღებული ერთადერთი მიღებული ზომა და გადაწყვეტილება კვლავ აღუსრულებელი დარჩა.

პარალელურად, 2000 წლის 19 იანვარს, „Amat-G“-მ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გემის დაქირავების თაობაზე, რომლის ყოველთვიური საიჯარო გადასახადი 45.000 აშშ დოლარს შეადგენდა. 2000 წლის 20 იანვარს "Amat-G" დაუკავშირდა თავდაცვის სამინისტროს და განუმარტა მას, რომ გემის იჯარის საფასურის დაფარვის ერთადერთი საშუალება მისთვის კომპანიის წინაშე არსებული სამინისტროს დავალიანებაა. განმცხადებელი კომპანია რვა თვის განმავლობაში ამაოდ ელოდა თავდაცვის სამინისტროსაგან ვალის გადახდას. ამასობაში გემის იჯარის გადასახადმა 511.200 აშშ დოლარი (4.954,21 ევრო) შეადგინა. გარდა ამისა, სამინისტროს მიერ ვალის გადახდის დაგვიანების შედეგად, შპს-ს სერიოზული

მატერიალური ზიანი მიადგა, სხვებს შორის, საწარმოო მოგების დანაკარგის სახით. 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანება ხუთწელიწადნახევრის შემდეგაც გადაუხდელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი დავობდა, რომ სახელმწიფო ორგანოებამ ვერ უზრუნველყვეს მის სასარგებლოდ მიღებული 1999 წლის 6 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლოს შეფასება (§§ 47-50)

„47. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, რომ ძალაში შესული საბოლოო დაგაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 19 მარტის განჩენი, სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1997-II, გვ. 510, §40).

48. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მიუღებელია, სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის საბაზად სახელმწიფო ორგანოს მხრიდან ფონდების უკმარისობის მომიზეზება (პოპოვი მოლდოვას წინააღმდეგ, №74153/01, §54, 2005 წლის 18 იანვარი; შმალკო უკრაინის წინააღმდეგ, №60750/00, §§44, 2004 წლის 20 ივლისი). სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება დასაშვებია განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. თუმცა ასეთმა შეჩერებამ არ უნდა შელახოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მონიჭებული უფლება (პროდანი მოლდოვას წინააღმდეგ, № 49806/99, §53, ECHR, 2004-... (ამონაწერები)). სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობის №62 განკარგულება ამგვარი სახელმწიფო დავალიანებების გადახდასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ §27) არ შეიძლება იყოს მიჩნეული განსაკუთრებულ გარემოებად, რის საფუძველზეც გამართლებული იქნებოდა ვალის დაუფარაობა ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რასაც უკვე ჰქონდა ადგილი აღნიშნულ შემთხვევაში (მდრ. იმობილიარე შაფვი იტალიის წინააღმდეგ [GC], № 22774/93, §§69-74, ECHR, 1999-V).

შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფოს ფინანსური სირთულეების გამო განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, რათა ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

49. იმის გამო რომ საქართველოს ოფიციალურმა ორგანოებმა ხუთი წლისა და რვა თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს 1999 წლის 6 დეკემბრის ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებები ყოველგვარ სასარგებლო შედეგიანობას მოკლებული შეიქნა.

50. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.”

„შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ” (“Iza” Ltd and Makrakhidze v. Georgia) ¹¹

№ 28537/05, 27 სექტემბერი, 2005 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (საქმის განხილვა გონივრულ ვადაში);

სამართლიანი დაკმაყოფილება: 10 000 ევრო მატერიალური ზიანის სანაცვლოდ, 1 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 2 050 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

1998 წლის ივლისში, მეორე განმცხადებელმა, როგორც სამშენებლო კომპანია შპს „იზას“ დამფუძნებელმა და დირექტორმა, საჯარო სკოლასთან გააფორმა ხელშეკრულება რემონტის ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან განმცხადებელი კომპანიის ანგარიშზე

¹¹ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/izadamakraxize.pdf>

117,514 ლარი უნდა ჩაერიცხა. სანაცვლოდ, განმცხადებელი კომპანია ვალდებული იქნება, ჩაეტარებინა სკოლის რემონტი. საგადასახადო სამსახურებმა, გადასახადის გადახდის მოთხოვნით, განმცხადებლების წინააღმდეგ საქმე აღძრეს. მათ მიერ მოთხოვნილი თანხა დაანგარიშებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი თანხის ოდენობის საფუძველზე, მაშინ როდესაც რეალურად განმცხადებელმა კომპანიამ მხოლოდ ანაზღაურების ნაწილი მიიღო.

შპს „იზამ“ სარჩელი შეიტანა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ შესრულებული სამუშაოსთვის დარჩენილი თანხის ოდენობის და ასევე საგადასახადო დავალიანების გადახდის მოთხოვნით. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელი კომპანიის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. ზემოხსენებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და 2001 წლის 14 ივნისს ძალაში შევიდა, თუმცა იგი არ აღსრულებულა. 2002 წლის 19 აპრილს, გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, განმცხადებელმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს მიმართეს, თუმცა მათ არ მიუღიათ ინფორმაცია იმის თაობაზე თუ როდის იქნებოდა მოსალოდნელი გადაწყვეტილების აღსრულება. განმცხადებელმა, ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო სისხლის სამართლის საქმის დაწყების მოთხოვნით, პროკურატურას მიმართეს, თუმცა მათ მოთხოვნას უარი ეთქვა. პროკურატურამ განაცხადა, რომ წინამდებარე საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვერავის დაეკისრებოდა, ვინაიდან დაგვიანება ობიექტური მიზეზით, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის ნაკლებობით, იყო განპირობებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ აღასრულეს მათ სასარგებლოს მიღებული 2001 წლის 14 მაისის სასამართლო გადაწყვეტილება.

სასამართლოს შეფასება (§§ 42-45)

„42. სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ

გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, *Reports of Judgments and Decisions* 1997-II, p. 510, §40). მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით, საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამართლებული იყოს განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში (*Prodan v. Moldova*, no. 49806/99, § 53, ECHR 2004-... (ამონარიდები)).

43. მოცემულ შემთხვევაში მთავრობას არ მიუთითებია რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც გაამართლებდა სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობას (cf. *Immobiliare Saffi v. Italy* [GC], no. 22774/93, §§ 69-74, ECHR 1999-V). სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

44. ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობის გამო, საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) მოთხოვნები ყოველგვარი სასარგებლო ეფექტის გარეშე დატოვეს.

45. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.”

„კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“ (*Kvitsiani v. Georgia*)¹²

№ 16277/07, 21 ივლისი, 2009 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (საქმის განხილვა გონივრულ ვადაში);

¹² გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kviciani.pdf>

სამართლიანი დაკმაყოფილება: 3 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ; სასამართლომ უარყო მატერიალური ზიანისა და ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნა.

ფაქტები:

1997 წლის 15 სექტემბერს პოლიციის ოპერაციის ჩატარებისას შემთხვევით დაიწვა განმცხადებლის მუდმივი საცხოვრებელი სახლი და სახლთან ახლოს მდებარე სამეურნეო შენობები. განმცხადებელმა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სარჩელი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ. 2000 წლის 27 დეკემბერს გადაწყვეტილებით, მთაწმინდა-კრწანისის თბილისის რაიონულმა სასამართლომ მოპასუხეებს განმცხადებლისთვის კომპენსაციის სახით 60 000 ლარის გადახდა დააკისრა; გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კი მიუთითა, რომ გადახდა 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა განხორციელებულიყო. ზედა ინსტანციების სასამართლოებმა გადაწყვეტილება უცვლელად ძალაში დატოვა. მიუხედავად განმცხადებლის არაერთი მცდელობისა, უზრუნველყოფილიყო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდა, 2008 წლის 7 აპრილამდე მან ვალი ვერ დაიბრუნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ასაჩივრებდა 2000 წლის 27 დეკემბერს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

სასამართლოს შეფასება (§§ 27-29)

„27. სასამართლო აცხადებს, რომ პირი, რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ, არ უნდა იყოს ვალდებული, ცალკე აღძრას სააღსრულებო წარმოება (იხ. *Metaxas v. Greece*, no. 8415/02, § 19, 27 May 2004). ეს პრინციპი, წინამდებარე საქმის გარემოებების ჭრილში, ნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან, ანუ 2002 წლის 2 ოქტომბრიდან (იხ. ზემოთ §7; იხ. აგრეთვე *Magomedov*, ზემოთ ციტირებული, § 21; *Semochkin v. Russia*, no. 3885/04, § 17, 4 December 2008). ეს

გადაწყვეტილება არ აღსრულდა 5 წლისა და 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (იხ. ზემოთ §14).

28. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს პერიოდი არაგონივრულად ხანგრძლივია, განსაკუთრებით როდესაც განიხილება აღნიშნული სააღსრულებო წარმოების სიმარტივე, მხარეების ქცევა და გამცხადებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების დროულად მიღების მნიშვნელოვნება (იხ. *Raylyan v. Russia*, no. 22000/03, § 31, 15 February 2007). მთავრობას არ მოუყვანია არგუმენტად არც ერთი გარემოება, რომელიც გაამართლებდა აღსრულების ამგვარ გაჭიანურებას. სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების არარსებობა არ წარმოადგენს გამამართლებელ მიზეზს (იხ., მაგ., *Amat-G and Mebaghishvili*, ზემოთ ციტირებული, §48). ასევე არც სავარაუდო საპროცესო სირთულის ფაქტორის გამოყენება შეიძლება განმცხადებლის წინააღმდეგ (იხ. ზემოთ §19).

29. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაასკვნას, რომ ადგილობრივი ორგანოების მიერ ხუთწელიწადნახევრის განმავლობაში ძალაში შესული გადაწყვეტილების განმცხადებლის სასარგებლოდ აღუსრულებლობით შეილახა მისი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ხელი შეეშალა მის მიერ საკუთარი ქონების შეუფერხებლად სარგებლობის უფლების განხორციელებას (იხ. *Voytenko*, ზემოთ ციტირებული, §§ 43 and 55; *Vodopyanovy v. Ukraine*, no. 22214/02, §§ 31-36, 17 January 2006).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და № 1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2011 წლის 14 ივლისს მიღებული CM/ResDH(2011)108 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და ზემოთ მოცემული სამი საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ აღნიშნულ საქმეებზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიკუთვნებული სამართლიანი დაკმაყოფილება, საქმეებზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ და „შპს „ამატ-ჯი“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, სრულად ფარავს აღუსრულებელ ეროვნულ გადაწყვეტილებებში მოცემულ სადავო თანხის ოდენობას. საქმეზე „კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, ეროვნულ დონეზე სადავოდ გამხდარი თანხის ოდენობა უკვე მიკუთვნებული იყო. სასამართლომ არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ სამართლიანი დაკმაყოფილება მიაკუთვნა იმ განმცხადებლებს, რომლებმაც აღნიშნული მოთხოვნა დააყენეს. ამრიგად, მინისტრთა კომიტეტმა სხვა ინდივიდუალური ღონისძიების გატარება საჭიროდ არ მიიჩნია.

II. ზოგადი ღონისძიებები

1.1 საბიუჯეტი საკითხები

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებში აღნიშნულ საბიუჯეტო ხარვეზებს, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს პრობლემა აღარ არსებობდა, რაც გაამყარა სტატისტიკით, რომელიც, პირველ რიგში, ეხებოდა ბიუჯეტში ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გამოყოფილ თანხებს და, მეორე რიგში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის განკუთვნილ თანხებს; მთავრობამ ასევე წარმოადგინა აღსრულებული გადაწყვეტილებების რიცხვი.

თითქმის ყველა ვალი (კერძოდ, ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი ხელფასები, ზიანის ანაზღაურება, გრანტები, მკურნალობის ხარჯები და სხვა) გადახდილ იქნა და მიმდინარეობდა ძველი აღუსრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულება.

სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად, სახელმწიფო ვალის გადასახდელად 2007 წელს ბიუჯეტიდან გამოიყო ათი მილიონი ლარი. 2008 წლიდან ყოველწლიურმა ფონდმა, სახელწოდებით „სამთავრობო ფონდი“, გამოყო ოცი მილიონი ლარი, რათა მომხდარიყო წინა წლების სახელმწიფო ვალების გადახდა და სასამართლო გადაწყვეტილებების (მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაკისრებული სამართლიანი დაკმაყოფილების) აღსრულებას. ეს ფონდი მიმაგრებულია ფინანსთა სამინისტროს.

1.2 აღსრულების სისტემის რეფორმა და მოდერნიზაცია

აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოები რეფორმირდა, კერძოდ, 2008 წლის ოქტომბერში შეიქმნა აღსრულების ეროვნული ბიურო და შემოღებულ იქნა აღმასრულებლის შერეული სისტემა. აღნიშნული მომსახურების მოდერნიზაციისა და აღმასრულებელთა პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით გატარდა ბევრი ღონისძიება.

აღსრულების პროცედურას ამჟამად აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 1999 წლის 16 აპრილის კანონი, რომელიც რამდენჯერმე შეიცვალა; ზემოხსენებულ კანონში ბოლო ცვლილება ძალაში შევიდა 2010 წლის დეკემბერში. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო, მას შემდეგ რაც მიიღებს მოთხოვნას, აღსრულდეს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ ვალს ადგენს, მოუწოდებს შესაბამის საჯარო დაწესებულებასა და ფინანსთა სამინისტროს აღასრულოს გადაწყვეტილება.

ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ (Jgarkava v. Georgia)¹³

N° 7932/03, 24 თებერვალი, 2009 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“ წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (სამართლიანი სასამართლოს უფლება);

სამართლიანი დაკმაყოფილება: სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეში არ არსებობდა სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების საფუძველი.

¹³ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/jgarkava.pdf>

ფაქტები:

განმცხადებელი, ბ-ნი ნოდარ ჯღარკავა, საქართველოს მოქალაქეა, დაბადებულია 1939 წელს და ცხოვრობს საქართველოში, სოფ. *ლეხაინდარაოში*. განმცხადებელი თავისი რაიონის ლიცეუმის დირექტორი და ადგილობრივი გამგეობის წევრი იყო. 1995 წლის 29 ოქტომბერს ის დაიბარეს თბილისში, გენერალურ პროკურატურაში, სადაც ყოველგვარი დაკითხვისა და ახსნა-განმარტების გარეშე დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. შემდგომ გაირკვა, რომ ის ეჭვმიტანილი იყო არჩევითი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ქრთამის გამოძალვის სანაცვლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირებთან გარკვეული სამსახურის გაწევის საქმეში. განმცხადებელმა წინასწარ პატიმრობაში 7 თვე და 8 დღე გაატარა. ის ამტკიცებს, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლების მხრიდან მუდმივად განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. პატიმრობის პირობების გამო, განმცხადებლის ჯანმრთელობა სერიოზულად გაუარესდა და 1996 წელს განმცხადებელი გირაოთი გაათავისუფლეს. 2000 წლის 13 ივნისს, განმცხადებელმა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოში გენერალური პროკურატურისა და მის მიმართ აღძრული საქმის გამომძიებლის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი შეიტანა. განმცხადებელი მოითხოვდა მისთვის კომპენსაციის გადახდას ყველა ბრალდებასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წინაშე, 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ასაჩივრებდა სასამართლოების უარს, დაეკმაყოფილა მისი მოთხოვნა ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სასამართლოს შეფასება (§§ 54-78)

54. სასამართლო აღნიშნავს, რომ მის წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების გარკვეულ სტადიამდე, მხარეთა შორის დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ ახალი სსსკ, რომელიც ძალაში 1999 წლის 15 მაისს შევიდა, განმცხადებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ითვალისწინებდა. კერძოდ, 2007 წლის 8 ოქტომბრამდე, მთავრობა ირწმუნებოდა, რომ ძველი სსსკ-ის შესაბამისად, „დანაშაულის მტკიცებულებათა არარსებობის გამო“ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება, ახალი სსსკ-ის მიხედვით, განმცხადებლის რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენდა.

55. თუმცა, 2007 წლის 8 ოქტომბრის დამატებითი განმარტებაში მთავრობამ წამოწია საწინააღმდეგო არგუმენტები და განაცხადა, რომ ახალი სსსკ განმცხადებლის მიმართ

არ გამოიყენებოდა და რომ მას, ამ კოდექსის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

56. სასამართლო შეახსენებს, რომ იმისათვის, რათა დადგინდეს, ეროვნული სამართალი სათანადოდ ახდენს თუ არა კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული „უფლების“ აღიარებას, მან მხედველობაში უნდა მიიღოს შესაბამისი დებულებების ფორმულირება და ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაციის მეთოდი (*mutatis mutandis*, *Masson et Van Zon c. Pays-Bas*, arrêt du 28 septembre 1995, série A no 327-A, §§ 48 et 49 ; *Rolf Gustafson c. Suède*, arrêt du 1er juillet 1997, *Recueil des arrêts et décisions* 1997-IV, §38).

57. ახალი სსსკ-ის გაცნობის შედეგად ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული კოდექსი მისი შესაბამისი დებულებების გამოყენებას არ გამოირიცხავდა იმ პირთა მიმართ, რომლებთან მიმართებითც საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება ახალი კოდექსის ამოქმედებამდე იქნა მიღებული.

58. რაც შეეხება ეროვნული სასამართლოების მიერ ამ დებულებების ინტერპრეტაციას, სასამართლო აღნიშნავს, რომ არცერთ მათგანს არ უთქვამს განმცხადებლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი იმ მოტივით, რომ ახალი სსსკ მას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებდა. ეროვნული სასამართლოები განმცხადებელს მხოლოდ იმას საყვედურობდნენ, რომ მან არ წარადგინა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, ახალი სსსკ-ის შესაბამისად, ეხებოდა მის რეაბილიტაციას და/ან ეროვნულ სასამართლოებს დროულად არ მიმართა. გარდა ამისა, მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, თავის 2004 წლის 14 სექტემბრის განმარტებით წერილში დაადასტურა, რომ ახალი სსსკ მოცემულ შემთხვევაში სრულად გამოიყენებოდა და განმარტა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო, ესარგებლა აღნიშნული კოდექსით გარანტირებული კომპენსაციის უფლებით, რადგან მან ვერ დააკმაყოფილა განახორციელა რიგი აუცილებელი პროცედურული მოთხოვნები.

59. სასამართლო ვერ დაარწმუნდა დამატებითი მიმოხილვის ფარგლებში წარმოდგენილმა მთავრობის არგუმენტებმა, რომლებიც პირველადი მიმოხილვებისაგან განსხვავებით, შესაბამის მტკიცებულებებს არ ეყრდნობოდა. ამასთან, მთავრობამ არ განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც მან საწყისი პოზიციის შეცვლა და საპირისპირო მოსაზრების დაცვა გადაწყვიტა.

60. ეროვნული სამართლის შესაბამისი ნორმების ფორმულირების, განმცხადებლის საქმის განმხილველი ეროვნული სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ აღნიშნული დებულებების ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, სასამართლომ ასკვნის, რომ ეროვნულ სამართალში,

განმცხადებლის კომპენსაციის უფლება აღიარებული იყო იმგვარად, რომ კანონი მისი დაცვის შესაძლებლობას ქმნიდა.

61. გადაწყვეტილება, რომლის კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობაც საჩივრდება მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაა, რომლითაც უზენაესმა სასამართლომ სრულად გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილება მიიღო.

62. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საჩივარში წამოყენებული პრობლემის სათავეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განმცხადებლის დავის განხილვა ძველი და ახალი კოდექსების მოქმედების პერიოდებს მოიცავდა. ძველი სსსკ, რომელიც საბჭოთა პერიოდით თარიღდებოდა და განმცხადებლის მიმართ აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნის მთელი პროცესის განმავლობაში მოქმედებდა, არ ითვალისწინებდა უსაფუძვლო დაკავების, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შედეგად წარმოქმნილ უფლებებს.

63. 1999 წლის 15 მაისს, საქმის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ძალაში შევიდა ახალი სსსკ. ამ კოდექსის შესაბამისად, გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დარღვეული უფლებების აღდგენისა და, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენს (მუხლი 219, §§ 1, 2). გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას კომპენსაციის უფლებაზე და მისი შეტყობინების დროს, პირს უნდა ეცნობოს, რომ ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან 6 თვის ვადაში განცდილი ზიანი უნდა ანაზღაურდეს (მუხლი 227§4).

64. თუმცა, ახალ სსსკ-ში და მის გარდამავალი დებულებებში არაფერია ნათქვამი იმ პროცედურის შესახებ, რომლის საფუძველზეც უნდა ემოქმედათ საქმის შეწყვეტის შესახებ 1999 წლის 15 მაისამდე მიღებული გადაწყვეტილებათა ადრესატებს, იმის გათვალისწინებით, რომ თავისთავად, ასეთი გადაწყვეტილების შეტყობინების მომენტში, მათ არ მიეწოდებოდათ არავითარი განმარტება კომპენსაციის უფლების გამოყენებაზე.

65. სასამართლოს აზრით, აღნიშნული დაზუსტებების არარსებობამ, შესაძლოა, გარკვეულწილად განაპირობა უზენაესი სასამართლოს მიერ დასკვნების გამოტანა, რომლებიც განმცხადებელმა გაასაჩივრა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ, რომლის მოვალეობასაც არ წარმოადგენს შესაბამისი კანონმდებლობის აბსტრაქტულად გაკონტროლება, უნდა შეამოწმოს, არღვევს თუ არა კონვენციას უზენაესი სასამართლოს მიერ, მოცემულ შემთხვევაში, მისი გამოყენების მეთოდი (*Hauschildt c. Danemark* , 24 mai 1989, § 45, série A no 154 *Håkansson et Sturesson c. Suède* , arrêt du 21 février 1990, série A no 171-A, §46).

66. ამრიგად სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ, იმსჯელა რა ახალი სსსკ-ის 227-ე (§4) მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელს უსაყვედურა, ერთის მხრივ, რომ მან ვერ დაასაბუთა მისი რეაბილიტირებულად ცნობა, ხოლო მეორეს მხრივ, რომ მას 6 თვის ვადაში არ დაუყენებია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

67. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც განმცხადებელი არ იქნა რეაბილიტირებულად ცნობილი, მაშინ როდესაც მის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა და რომ ახალი სსსკ-ის 219-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება საკმარისი იყო მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. პრაქტიკულად, თავად გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ იმთავითვე წარმოადგენს „რეაბილიტაციის“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „უფლებების აღდგენის“ „საფუძველს“ (ახალი სსსკ-ის 219-ე (§1) მუხლი) და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენამდე პირის რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ ცალკე სამართლებრივი პროცედურის წარმოება არ არის აუცილებელი (§41, ეროვნული კანონმდებლობა). უზენაესმა სასამართლომ არ განმარტა მიზეზები, რომელთა გამოც მან მხოლოდ წინამდებარე საქმის ფარგლებში გადაწყვიტა, განეცალკავებინა „რეაბილიტირებულად ცნობა“ და „უფლებების აღდგენა“, რომლებიც იდენტურ ცნებებს წარმოადგენს, არამარტო სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (*ibid.*), არამედ თავად კანონმდებლის თვალშიც (ახალი სსსკ-ის 219-ე (§1) მუხლი). იმ პირობებში, როდესაც განმცხადებელი საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ანუ რეაბილიტაციას მოითხოვდა, საკასაციო სასამართლომ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ზიანის ანაზღაურების წინაპირობად რეაბილიტირებულად ცნობის აუცილებლობა დაასახელა. ამასთან, მან არც ის დააზუსტა თუ რა მტკიცებულებები უნდა წარედგინა განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დასადასტურებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი სსსკ საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გარდა სხვა რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულების წარდგენას არ ითხოვდა, იმ მიზნით, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს მიყენებული ზიანის ოდენობა და სახეობა განესაზღვრა. უფრო მეტიც, ამ კოდექსის 221-ე (§1) მუხლის მიხედვით, დაუსაბუთებელი დაკავების ფაქტი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად საკმარის საფუძველს წარმოადგენდა რეაბილიტაციის შესახებ რაიმე გადაწყვეტილების არარსებობის პირობებშიც კი.

68. თუკი დავუშვებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ იგულისხმა, რომ განმცხადებელმა არ მიმართა ეროვნულ სასამართლოებს 1998 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ახალ სსსკ-თან „შესაბამისობაში მოყვანის“ მოთხოვნით, ასეთ

შემთხვევაში, აღნიშნული მოტივი მას ნათლად უნდა განემარტა თავის გადაწყვეტილებაში და ის სამართლებრივი ნორმა მიეთითებინა, რომელიც განმცხადებელს ამგვარი პროცედურის წარმოების დაწყებას ავალდებულებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი სსსკ, რომელიც უზენაესმა სასამართლომ წინამდებარე საქმეში რელევანტურად მიიჩნია, არავითარ მსგავს ნორმას არ შეიცავს.

69. ასევე ბუნდოვანია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იმ 6-თვიან ვადასთან დაკავშირებით, რასაც ახალი კოდექსის 227-ე (§4) მუხლი ითვალისწინებს. მთავრობის მტკიცებით, აღნიშნული ვადა გამამართლებელი ან რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ სხვა გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან აითვლება, მაგრამ საკასაციო ინსტანცია არ აზუსტებს, მისი შეფასებით, თუ როგორი სამართლებრივი აქტი ითვლებოდა ან შეიძლება ჩათვლილიყო რეაბილიტაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებად, რის გამოც შეუძლებელია, დადგინდეს თუ რომელი გადაწყვეტილების მიღებიდან უნდა დაწყებულიყო ზემოაღნიშნული ვადის ათვლა.

70. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუღებელი ხელფასის ნაწილში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება „*ახალი კოდექსის 228-ე მუხლიდან გამომდინარე განმცხადებლის მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებდა.*“ თუმცა მას მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ აღნიშნული მუხლი რეაბილიტირებულად ცნობილ პირს ეხება და იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია. ნებისმიერ შემთხვევაში, 1-ლი ინსტანციის სასამართლომ განმცხადებლის სარჩელი არ დააკმაყოფილა არა ახალი სსსკ-ის 228-ე მუხლზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ შრომის კოდექსის (§21) შესაბამისად.

71. სასამართლო, თავისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შეახსენებს, რომ სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, შიდა სასამართლო ინსტანციებმა საკმარისი სიზუსტით უნდა განსაზღვრონ მოტივები, რომლებსაც ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებში ეყრდნობიან. აღნიშნული ვალდებულების ფარგლები, გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს და შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მიხედვით (*García Ruiz c. Espagne* [GC], no 30544/96, §26, CEDH 1999-I; *Ruiz Torija c. Espagne*, arrêt du 9 décembre 1994, série A no 303-A, §29 ; *Higgins et autres c. France*, 19 février 1998, §42, *Recueil* 1998-I). თუკი კონვენციის მე-6 (§1) მუხლი სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილება, აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნა (*Van de Hurk c. Pays-Bas*, 19 avril 1994, §61, série A no 288).

72. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესმა სასამართლომ, იძულებული იყო რა გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობაში აუცილებელი დაზუსტებების არარსებობის პირობებში მიეღო, ბუნდოვანი და არასაკმარისად დასაბუთებული დასკვნები გამოიტანა. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულმა ინსტანციამ ვერ დააკმაყოფილა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა.

73. ასეთ პირობებში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ უზენაესმა სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ გადაწყვიტა, არ დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის მოთხოვნა, ხოლო, თავის მხრივ, ხსენებულმა სამინისტრომ, საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სასამართლოს ღიად შეახსენა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში რამდენიმე ათეული რეაბილიტირებული პირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ 24.304 ევრო იყო გამოყოფილი.

74. მოცემულ შემთხვევაში, არც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოჰყვანია ნათელი მთავრობის ურთიერთგამომრიცხავ მიმოხილვებს. განმარტავს რა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა ახალ სსსკ-ს, მთავრობა მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის 227-ე (§4) მუხლის თანახმად, განმცხადებელს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 1999 წლის 15 მაისიდან, ანუ ახალი კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა დაეყენებინა. ამრიგად, აუცილებელია დავასკვნათ, რომ უზენაესმა სასამართლომ ზემოხსენებული დებულების ამგვარი ინტერპრეტაცია არ მოახდინა. ამას გარდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის არგუმენტი სარწმუნო რომ ყოფილიყო, ახალი სსსკ-ის გარდამავალ დებულებებში უნდა აღნიშნულიყო, რომ პირებს, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები ძველი სსსკ-ის შესაბამისად იქნა მიღებული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა ახალი კოდექსის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეეძლოთ. თუმცა ახალი სსსკ ამგვარ პირობას არ ითვალისწინებდა.

75. ამასთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2004 წლის 14 სექტემბრის წერილზე დაყრდნობით, მთავრობა ამტკიცებს, რომ ახალი სსსკ-ის 219-ე მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება განმცხადებლის რეაბილიტირებულად ცნობას ავტომატურად ვერ გამოიწვევდა და რომ მას ძველი სსსკ-ის 359-ე (§2) მუხლის საფუძველზე მიღებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ახალი საპროცესო კოდექსის 28-ე (§1 „ა“) მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხსენებული გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოსათვის უნდა მიემართა. თუმცა მთავრობა არ მიუთითებს, საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი

სასამართლო ორგანოს წინაშე რომელი კანონმდებლობის ან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად უნდა ეწარმოებინა განმცხადებელს ამგვარი სამართლებრივი პროცედურა. პირიქით, სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვაზე, მთავრობამ უპასუხა, რომ ასეთი კანონმდებლობა, სინამდვილეში, არ არსებობდა (§52). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო, როგორც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი საკასაციო ინსტანცია, რომელმაც მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და რასაც მთავრობა ეყრდნობა, პოსტ-საბჭოთა პერიოდის სასამართლო რეფორმის ფარგლებში, ახალი სსსკ-ის ამოქმედებამდე, გაუქმდა (§40).

76. მიუღებელ ხელფასთან დაკავშირებით, მთავრობა ამტკიცებს, რომ აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა გამომდინარე იქიდან, რომ სამი წლის განმავლობაში გადაუხდელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ახალი სსსკ-ის 228-ე (§1) მუხლი ითვალისწინებდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარი მსჯელობა არ ფიგურირებდა არც პირველი ინსტანციის მოსამართლეთა დასკვნებში, რომლებიც აღნიშნულ დებულებას არ დაეყრდნენ და არც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

77. სასამართლოს სურს, ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიების განხილვისას, ის ვერ დაეყრდნობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო ცდილობს, დაამტკიცოს მიღებული შიდა სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან და სასამართლოს განმცხადებლის მიერ ეროვნულ ინსტანციებში წარმოებული დავის გადაწყვეტის საკუთარ ხედვას სთავაზობს, რაც განსხვავდება შიდა სასამართლო ორგანოთა მიერ გამოტანილი დასკვნისაგან. სასამართლოს სურს, შეამოწმოს ის გარემოება თუ რამდენად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 სექტემბერის სადავო გადაწყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლო ასკვნის, რომ ასეთ შესაბამისობას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (§72).

78. ამრიგად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას.

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2016 წლის 8 მარტს მიღებული CM/ResDH(2016)25 რეზოლუციით, მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

ზოგადი ღონისძიება:

2010 წლის 10 მაისს ძალაში შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევას, არის ახლად აღმოჩენილი გარემოება და, შესაბამისად, წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების საფუძველს (იხ. „მრეტების“ საქმე, CM/ResDH(2010)163 რეზოლუცია). განმცხადებელმა არ გამოიყენა მისთვის მინიჭებული საქმის წარმოების განახლების უფლება. 2010 წლის 10 ოქტომბერს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. გაუქმდა რეაბილიტაციის ცნება. 175-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული, მას უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კოდექსის 276-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ გამამართლებელი განაჩენის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი. რაც შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოების წესებს, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შეიძლება

წარედგინოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზეც, რომლის მიხედვით სარჩელი შეიძლება აღიძრას, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

წინამდებარე გადაწყვეტილება ითარგმნა, გამოქვეყნდა და გავრცელდა.

ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ (Kidzinidze v. Georgia)¹⁴

№ 69852/01, 29 იანვარი, 2008 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ....”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (სამართლიანი სასამართლოს უფლება);

სამართლიანი დაკმაყოფილება: მატერიალი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; 4 400 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 500 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

განმცხადებელი ცხოვრობდა და მუშაობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველო (“აჭარის ა/რ”). 1995-1999 წლებში, ის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. განმცხადებელი, როგორც შპს „მარსი-91“-ის თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორი 1991-1995 წლებში, 1993 წელს აჭარის ა/რ მთავრობის მეთაურმა ა.აბაშიძემ დაიბარა და რეგიონში 4.500 ტონა ფქვილის შემოტანა დაავალა. დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება, ერთი ტონა ფქვილის ფასად 360 აშშ დოლარი განისაზღვრა. “მარსი-91“-მა მოკლე ვადაში 3 671 ტონა ფქვილი შემოიტანა. განმცხადებლის არაერთგზის პროტესტის შემდეგ, ბ-ნი ა. აბაშიძის განკარგულების თანახმად, “მარსი-91“-მა შეძლო, მიეღო შემოტანილი ფქვილის ღირებულების

¹⁴ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/qizinidze.pdf>

ნაწილი, თუმცა, ა. აბაშიძემ აიძულა განმცხადებელი, ამ თანხის ნაწილი გადაერიცხა მისი ფონდისა და პოლიტიკური პარტიის - "აღორძინება" ანგარიშებზე. 1999 წლის 16 დეკემბერს, ფინანსური მანიპულაციების ბრალდებით, აჭარის სამართალდამცავმა ორგანოებმა განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მათი მტკიცებით, განმცხადებელმა, ფქვილის იმპორტის გადაუხდელობით გამოწვეული დეფიციტის დასაფარად, ბათუმის (აჭარის ა/რ დედაქალაქი) თამბაქოს ფაბრიკას 845 000 აშშ დოლარი გამოსძალა. განმცხადებელმა სასწრაფოდ დატოვა საქართველო და გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად. 2000 წლის 26 თებერვალს, განმცხადებელმა აჭარის ა/რ-ს უზენაეს სასამართლოში შეიტანა სარჩელი "მარსი-91"-ისა და თავისი სახელით - აჭარის ხელისუფლების მაღალჩინოსნების, მათ შორის, ა. აბაშიძის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკისა და აჭარის სხვა სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ. მან წარადგინა 1999 წლის 4 დეკემბრის მინდობილობა, რომლითაც მას ეძლეოდა უფლება, ემოქმედა "მარსი-91"-ის სახელით. გარდა ამისა, განმცხადებელი ითხოვდა, რომ ფქვილის იმპორტიდან შემოსული თანხის (495 049 აშშ დოლარი), ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მითვისებული თანხების ანაზღაურებას საწარმოსთვისაც და პირადად მისთვისაც. მისი პრეტენზიები გამყარებული იყო შესაბამისი ციფრებით, არგუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით. გამომდინარე იქიდან, რომ მის სარჩელს რეაგირება არ მოჰყოლია, 2000 წლის 20 აპრილსა და 2001 წლის 31 ივლისს, განმცხადებელმა კვლავ მიმართა აჭარის ა/რ-ს უმაღლეს სასამართლოს იმავე მოთხოვნებით. ის მოითხოვდა აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ვინაიდან აღნიშნული სარჩელიც უპასუხოდ დარჩა, ამან გააძლიერა განმცხადებლის ეჭვები სასამართლოს დამოუკიდებულობის თაობაზე, 2001 წლის 14 აგვისტოსა და 11 სექტემბერს, მან მოითხოვა საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა, რაზეც მას უპასუხეს, რომ მისი საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა შეუძლებელი იყო ვინაიდან 2001 წლის 26 მარტს, განმცხადებელს უარი ეთქვა შუამდგომლობის რეგისტრაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებელს - "მარსი-91"-ის დამფუძნებელს, არ გააჩნდა უფლებამოსილება, შპს-ს სახელით შეეტანა სარჩელი სასამართლოში, ვინაიდან "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-9 მუხლი (§4) ასეთ უფლებამოსილებას დირექტორებს ანიჭებდა. 2001 წლის 9 ნოემბერს, განმცხადებელმა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროცედურული საჩივარი შეიტანა. მან ხელახლა წარადგინა 1999 წლის 4 დეკემბრის მინდობილობა, რომელიც მას ნებას რთავდა, შპს „მარსი-91“ სახელით შეეტანა სარჩელი სასამართლოში. 2002 წლის 23 იანვარს, ა/რ უმაღლესმა სასამართლომ, განმცხადებლის პროცედურული სარჩელი

დაუსაბუთებლად ცნო და საქმის მასალებთან ერთად, იგი განსახილველად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა, რომელმაც გააუქმა 2001 წლის 26 მარტისა და 2002 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს. 2002 წლის 15 ნოემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესმა სასამართლომ ხელახლა განიხილა საქმე და დაადგინა, რომ 2002 წელს, განმცხადებლის წინააღმდეგ საქმე სწორედ მის სარჩელში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით აღიძრა. გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებელი არ იმყოფებოდა ქვეყანაში, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს თანახმად, გამოძიების დასრულებამდე შეუძლებელი იყო მის სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

2000 წლის ოქტომბერში განმცხადებელმა ა. აბაშიძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ქ. ბათუმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. 2001 წლის 7 მარტის განკარგულებით, ამ სარჩელის განხილვაზე განმცხადებელს უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მან არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. მას მიეცა 10 დღის ვადა აღნიშნული ბაჟის გადასახდელად. აღნიშნული გადაწყვეტილება განმცხადებელს არ ეცნობა, მან ამის თაობაზე მხოლოდ 2001 წლის 6 მაისს შეიტყო, როდესაც დარეკა სასამართლოში საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული ახალი ამბების გასაგებად. 2001 წლის 7 მაისს, განმცხადებელმა, სახელმწიფო ბაჟის სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხა 520 ლარი. ამ გადარიცხვის ქვითარი საქმის მასალებში ინახება. განმცხადებელმა აღნიშნული ქვითარი, პროცესის განახლების მოთხოვნასთან ერთად, სასამართლოს წარუდგინა, მაგრამ მისი სარჩელი არ განხილულა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ აჭარის ა/რ სასამართლოების მიერ მისი სარჩელების განუხილველობა წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას.

სასამართლოს შეფასება (§§ 34-36)

„34. სასამართლო აღნიშნავს, წინამდებარე საქმეში, დავის საგას წარმოადგენს მხოლოდ განმცხადებლის, როგორც კერძო პირის მიერ, აჭარის უმაღლესი სასამართლოს წინაშე 2000

წლის 26 თებერვალს წამოყენებული პრეტენზიებისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოში, 2000 წლის ოქტომბერში შეტანილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში განუხილველად დატოვება. კონვენციის მე-6 მუხლის (§1) საფუძველზე წამოყენებული დანარჩენი პრეტენზიები, 2007 წლის 31 მაისს დაუშვებლად იქნა ცნობილი. (იხ. §4 ქვემოთ).

ა) 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელთან დაკავშირებით

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2000 წლის 26 თებერვლის სარჩელში, გარდა „მარსი-91“-ის დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიისა, განმცხადებელმა ასევე მოითხოვა, რომ აჭარის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს აენაზღაურებინათ სხვადასხვა თანხები, რომლებიც მას პირადად გამოსძალეს (იხ. §§ 15, 18 და 20 *in fine* ზემოთ). აღნიშნულის დასადასტურებლად, მან წარადგინა ციფრებში გამოხატული სხვადასხვა მტკიცებულება, რათა დაემტკიცებინა, რომ იგი პირადად გახდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებების მსხვერპლი.

36. 2001 წლის 26 მარტისა და 2002 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებებით, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ სრულად უარყო განმცხადებლის, როგორც კერძო პირის, პრეტენზიები და მის არცერთ არგუმენტს არ უპასუხა. აღნიშნული ხარვეზი გამოავლინა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც, 2002 წლის 23 სექტემბერს, საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა (იხ. §20 ზემოთ). თუმცა, 2002 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ შეწყვიტა საქმის განხილვა, იმ მოტივით, რომ „*განმცხადებლის წინააღმდეგ საქმე აღიძრა მის სარჩელში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით.*“

37. საქმიდან ირკვევა, რომ 1999 და 2002 წლებში, აჭარის ხელისუფლებამ განმცხადებლის წინააღმდეგ მართლაც წამოიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. §§ 14 და 26 ზემოთ). თუმცა საქმის აღძვრის შესახებ აღნიშნული გადაწყვეტილებები გაუქმდა როგორც აშკარად კანონსაწინააღმდეგო, აჭარის ა/რ ადგილობრივი რეჟიმის დამხობის შემდეგ. ამგვარად, იმის დაშვებითაც კი, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ აშკარად უკანონო სისხლისსამართლებრივმა დევნამ, სსსკ-ის 279-ე მუხლის თანახმად, გამოიწვია საქმის განხილვის შეჩერება, აჭარის უმაღლეს სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვა უნდა დაეწყო ყველაზე ადრე 2004 წლის 3 მაისს და ყველაზე გვიან - 2005 წლის 8 ოქტომბერს (იხ. §§ 28 და 29 ზემოთ).

38. თუმცა, დღესდღეობით მხარეების მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით, აღნიშნულ სასამართლოში საქმე კვლავ განუხილველი

რჩება, ისე, რომ რაიმე გადაწყვეტილება, თუნდაც პროცესუალური, არ ყოფილა მიღებული. მთავრობას აღნიშნული უმოქმედობის არავითარი ახსნა-განმარტება ან დასაბუთება არ წარმოუდგენია.

39. წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული უმოქმედობა წარმოშობს უფრო პროცესის ხანგრძლივობის პრობლემას, ვიდრე

განმცხადებლის მიერ დაყენებულ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის პრობლემას. შესაბამისად, სასამართლო პრეტენზიის ამ ასპექტს განიხილავს დაინტერესებული პირის უფლების კუთხით, მისი საქმე „გონივრულ ვადაში“, კონვენციის მე-6 მუხლის (§1) მოთხოვნების შესაბამისად იქნას განხილული (კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ, 1997 წლის 16 დეკემბრის განჩინება, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1997-VIII,

გვ. 2895-2896, § 50; შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, №36378/02, §436, CEDH 2005-III).

40. პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასება კონკრეტული საქმის ფაქტებისა და ევროსასამართლოს პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ხდება, კერძოდ, გასათვალისწინებელია საქმის სირთულე, განმცხადებლისა და კომპეტენტური ორგანოების ქმედებები, აგრეთვე დავის მიზანი განმცხადებლისთვის (იხ. ბევრ სხვას შორის, კრიზი ჩეხეთის წინააღმდეგ, №26634/03, §72, 2007 წლის 9 იანვარი).

41. ამ შემთხვევაში, ევროსასამართლო არ თვლის, რომ განმცხადებლის საქმე რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს უკავშირდება ან რომ გერმანიაში მცხოვრებმა განმცხადებელმა არ გამოიჩინა სასურველი გულმოდგინება. პირიქით, ევროსასამართლო თვლის, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს უმოქმედობას არავითარი გამართლება არა აქვს.

42. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

ბ) ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით

43. სასამართლო შეახსენებს მის პრაქტიკას, რომლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლი (§1) ითვალისწინებს „სასამართლოს უფლებას“, რომლის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს ხელმისაწვდომობა, კერძოდ, სასამართლოსთვის სამოქალაქო სარჩელით მიმართვის უფლება (გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1975 წლის 21 თებერვლის განჩინება, სერია A №18, გვ. 18, §36). ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტურობა

მოითხოვს, რომ პირს ჰქონდეს მის უფლებებში ჩარევის აქტის გასაჩივრების აშკარა და კონკრეტული შესაძლებლობა (*ბენეფიჩიო კაპპელა პაოლინი სან-მარინოს წინააღმდეგ*, № 40786/98, §§ 29 და 30, CEDH 2004-VIII (ამონარიდები)).

44. წინამდებარე საქმეში, 2000 წლის ოქტომბერში, განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რომლითაც ის ითხოვდა, რომ აჭარის აღმასრულებელი

ხელისუფლების ხელმძღვანელს აენაზღაურებინა მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი. სარჩელის განსამტკიცებლად, მან სხვადასხვა მტკიცებულებები წარადგინა.

45. 2001 წლის 7 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე არ განიხილებოდა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლი) და განმცხადებელს მისცა დრო ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მისთვის აღნიშნული გადაწყვეტილების შეტყობინების გარეშე. განმცხადებელმა აღნიშნულის თაობაზე შეიტყო 2001 წლის 6 მაისს. მან მეორე დღესვე გადაიხადა სახელმწიფო

ბაჟი და სარჩელის განხილვის განახლება მოითხოვა. თუმცა, აღნიშნულს არავითარი პასუხი არ მოჰყოლია.

46. მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი არგუმენტი, რათა განემარტა ან გაემართლებინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ეს უყურადღებობა. დააყენა რა ეჭვქვეშ, პროცესის საწყის ეტაპზე და შესაბამისი მტკიცებულების გარეშე, განმცხადებლის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდა (იხ. §32 ზემოთ). სახელმწიფოს არასოდეს გაუსაჩივრებია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის მტკიცებულების ნამდვილობა. შესაბამისად, სასამართლოს არავითარი მიზეზი არა აქვს, ეჭვქვეშ დააყენოს აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობა.

47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს არაპირდაპირი უარი, განიხილოს განმცხადებლის სარჩელი, ფასდება როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა, რომელმაც ზიანი მიაყენა კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების არსს. შესაბამისად, ადგილი აქვს ამ დებულების დარღვევას.”

აღსრულება

გამოიკვლია რა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, 2011 წლის 14 სექტემბერს მიღებული CM/ResDH(2011)109 რეზოლუციით, მინისტრთა

კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საქართველომ შეასრულა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება და წინამდებარე საქმე აღსრულებულად მიიჩნია.

სახელმწიფოს მიერ საქმეზე გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები:

I. ინდივიდუალური ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში საქმე კვლავ განიხილებოდა. 2005 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად აჭარის უმაღლესი სასამართლომ შეწყვიტა ფუნქციონირება და განმცხადებლის საქმე გადაეცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2010 წლის 20 იანვარს. აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ კანონით დადგენილ ვადაში საჩივარი არ შესულა; შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა.

გარდა ამისა, ბათუმის საქალაქო სასამართლო ეცადა განეახლებინა განმცხადებლის მიერ 2000 წელს შეტანილი სარჩელი, თუმცა ვერ შეძლო, რადგან მიუხედავად მისი მცდელობებისა, ვერ შეძლო განმცხადებლის მოძიება. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის პოვნის შეთხვევაში, ბათუმის საქალაქო სასამართლო შეძლებდა სარჩელის განხილვას.

შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტმა სხვა ინდივიდუალური ღონისძიებების გატარება საჭიროდ არ მიიჩნია.

II. ზოგადი ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ითარგმნა და 2010 წლის 14 იანვარს ოფიციალურ მაცნეში გამოქვეყნდა.

ქიბინიძის გადაწყვეტილება ასევე მოცემულია გამოცემაში სათაურით „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული საქართველოს“

საქმეებზე”, რომელიც 2010 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა. ზემოთ ხსენებული გამოცემა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2004-2010 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების კრებულს და ის დარიგდა ეროვნულ სასამართლოებში.

გახარია საქართველოს წინააღმდეგ (Gakharia v. Georgia)¹⁵

№ 30459/13, 17 იანვარი, 2017 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (სამართლიანი სასამართლოს უფლება);

სამართლიანი დაკმაყოფილება: 1 500 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

ფაქტები:

განმცხადებელი დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს თბილისში. მისი ქალიშვილი დაიბადა 2000 წელს. ძირითადად იგი ბებიასთან საქართველოში იზრდებოდა მას შემდეგ, რაც მშობლები საზღვარგარეთ წავიდნენ სამუშაოდ, სადაც მალევე დასცილდნენ ერთმანეთს. განმცხადებლის ყოფილმა პარტნიორმა სასამართლოს წინაშე ორი სარჩელი შეიტანა: პირველი 2008 წლის მარტში, რომლის მიხედვით მოითხოვდა, რომ მისი ქალიშვილი ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო მის მისამართზე, როგორც რეზიდენტი პირი; ხოლო მეორე სარჩელი 2008 წლის დეკემბერში აღძრა, სადაც მოითხოვდა, რომ ქალიშვილის მიმართ გაცემულიყო საერთაშორისო პასპორტი და მამის თანხმობის გარეშე დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. ორივე საქმის წარმოების მიმდინარეობისას მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე განმცხადებლისთვის უწყების ჩაბარებას სამჯერ ეცადნენ, თუმცა ამაოდ. კურიერმა აღნიშნა, რომ სახლი დაკეტილი იყო. იმ დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, სამართალწარმოების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურ

¹⁵ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/information25/>

გაზეთში გამოქვეყნდა. სასამართლოებმა გადაწყვეტილება განმცხადებლის დაუსწრებლად გამოიტანეს და მოსარჩელის მოთხოვნები დააკმაყოფილეს.

2012 წლის ივნისში განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ორივე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. მან განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების შესახებ შეიტყო მხოლოდ 2012 წლის მაისში. განმცხადებელმა ასევე განმარტა, რომ იგი მოცემულ დროს საქართველოში არ ცხოვრობდა, რაც მისი ყოფილი მეუღლისთვის კარგად იყო ცნობილი. ის ჩიოდა, რომ დაუსწრებელი სამართალწარმოებები უსამართლო იყო, რადგან იგი არ იყო სათანადო წესით გამოძახებული სასამართლო სხდომებზე. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის სარჩელი. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების პროცედურა წინამდებარე საქმეზე დაცული იყო. კერძოდ, სასამართლოებმა უწყებები გაგზავნეს ხელმისაწვდომ ერთადერთ მისამართზე, სადაც განმცხადებელი დარეგისტრირებული იყო და მას შემდეგ, რაც შეუძლებელი იყო განმცხადებლისთვის უწყების ჩაბარება, აღნიშნული ცნობა საჯაროდ გამოქვეყნდა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წინაშე, კონვენცია 6.1 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი დავობდა, რომ სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო, დაკარგა ყოველგვარი კონტაქტი საკუთარ ქალიშვილთან.

სასამართლოს შეფასება (§§ 31-52)

(ა) ზოგადი პრინციპები

32. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით (იხილეთ „ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, (Nideröst-Huber v. Switzerland), 18/02/1997, §23, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებული 1997-I; „კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Kress v. France) [დიდი პალატა], no. 39594/98, § 72,

ECHR 2001-VI; „ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Yvon v. France), no. 44962/98, § 31, ECHR 2003-V; და „გორაიზი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain), no. 62543/00, § 56, ECHR 2004-III). შემდგომში, სასამართლო ხაზს უსვამს ეროვნული ორგანოების ვალდებულებას - უზრუნველყოს „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე (იხილეთ *Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების წინააღმდეგ* (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*), 27/10/1993, §33, Series A no. 274).

33. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ ითვალისწინებს დოკუმენტების გაგზავნის კონკრეტულ ფორმას (იხილეთ „ბოგონოსი რუსეთის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Bogonos v. Russia* (dec.), no. 68798/01, 05/02/2004, და „ორამსი კვიპროსის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Orams v. Cyprus* (dec.), no. 27841/07, 10/06/2010). თუმცა სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხილეთ, რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (*Ruiz-Mateos v. Spain*), 23/06/1993, § 63, Series A no. 262). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხილეთ „ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ“ (*Lobo Machado v. Portugal*), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს იმას, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხილეთ „დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ“ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), ნომ. 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაჰბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (იხილეთ „ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Ozgur-Karaduman v. Germany* (dec.), no. 4769/02, 26/06/2007; „ვებერი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება), (*Weber v. Germany* (dec.), no. 30203/03, 02/10/2007; და „ზადოვნიკი სლოვენის წინააღმდეგ“, (*Zavodnik v. Slovenia*), no. 53723/13, § 70, 21/05/2015).

34. შემდგომში სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებებს, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხილეთ „აჟდაჯიჩი სლოვენის წინააღმდეგ“ (*Aždajic v. Slovenia*), no. 71872/12, §49, 08/10/2015,

და „განკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Gankin and Others v. Russia), nos. 2430/06, 1454/08, 11670/10 და 12938/12, § 26, 31/05/2016). თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე (ibid.; ასევე იხილეთ *mutatis mutandis*, ზემოთ ციტირებული საქმე - „ზადოვნიკი“ (Zavodnik), §72).

35. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ საქმეში - „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya) (ციტირებულია მაღლა §78 და §80) მან გადაწყვიტა სისხლის სამართლის საკითხებისადმი მისი მიდგომის სულისკვეთება გადმოეტანა და დაუსწრებელი სისხლის სამართალწარმოების პროცესში განვითარებული პრინციპები მისადაგებინა სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართაც. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში, სასამართლო დაეყრდნო მის პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც სამართლიანობის უარყოფა დგინდება, როცა პროცესზე დაუსწრებლად მსჯავრდებულ პირს არ აქვს საშუალება მიიღოს ბრალდების არსის ცხადი განმარტება იმ გარემოებებში, როცა არ არის დადგენილი მის მიერ სასამართლოში გამოცხადების უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ *mutatis mutandis*, „კოლოზა იტალიის წინააღმდეგ“ (Colozza v. Italy), 12/02/1985, §29, Series A no. 89; „ეინორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (განჩინება), (Einhorn v. France) (dec.), no. 71555/01, §33, ECHR 2001-XI; „კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Krombach v. France) no. 29731/96, §85, ECHR 2001-II; და „სეჯდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ“ (Sejdovic v. Italy) [დიდი პალატა], no. 56581/00, §82, ECHR 2006-II), ან, როცა იგი მიზნად ისახავს მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას (იხილეთ „მედენიკა შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Medenica v. Switzerland), no. 20491/92, §55, ECHR 2001-VI).

36. ამასთან, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმალური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი ნებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე (იხილეთ „ჰერმი იტალიის წინააღმდეგ“ (Hermi v. Italy) [დიდი პალატა], no. 18114/02, §73, ECHR 2006-XII). თუმცა ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით (იხილეთ „პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Poitrimol v. France) 23/11/1993, §31, Series A no. 277-A), და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (იხილეთ, „სეჯდოვიჩი“ (Sejdovic) §86, და „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya), §79, ორივე საქმე ციტირებულია მაღლა; აგრეთვე იხილეთ „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს

წინააღმდეგ“ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), no. 9043/05, §91, ECHR 2014 (ამონარიდები)).

37. და ბოლოს, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ მისი ამოცანა არ არის განიხილოს შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა აბსტრაქტულად, არამედ, განსაზღვროს მათი გამოყენების ფორმა ან განმცხადებლისადმი მათი გავლენა არღვევდა თუ არა კონვენციას (იხილეთ „პადოვანი იტალიის წინააღმდეგ“ (Padovani v. Italy), 26/02/1993, §24, Series A no. 257-B).

(ბ) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეზე

38. სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ აღნიშნული ზოგადი პრინციპების ფონზე, განხილულ უნდა იქნეს ორი ძირითადი საკითხი: პირველ რიგში, სახელმწიფომ გამოიჩინა თუ არა საკმარისი გულისხმიერება ყველა შესაბამისი ნაბიჯის გადასადგმელად, რათა ეცნობა განმცხადებლისთვის სამართალწარმოების დაწყების შესახებ, რომელიც ეხებოდა მისი, როგორც მშობლის უფლების შესაძლო შეზღუდვას და ამ კუთხით, უარი თქვა თუ არა განმცხადებელმა მის უფლებაზე –წარდგენილიყო პროცესზე და დაეცვა საკუთარი თავი; და მეორე რიგში, ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს თუ არა განმცხადებელს სათანადო საშუალებებით შეჯიბრებითი სამართალწარმოების განსახორციელებლად, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებების შესახებ (იხილეთ „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya), §80 და §88, და აჟდაჯიჩი (Aždajić), §50 და §53, ორივე ციტირებულია მაღლა).

(i) იყო თუ არა განმცხადებელი სათანადოდ ინფორმირებული

39. რაც შეეხება პირველ კითხვას, საქმის მასალების მიხედვით, სრულად სამი მცდელობა განხორციელდა, რათა განმცხადებელს უწყება ჩაბარებოდა იმ მისამართზე, რომელიც განმცხადებელმა მხარემ მიუთითა ორი სამართალწარმოების განმავლობაში. სამივე შემთხვევაში, მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა (იხილეთ §7 და §8). სასამართლო კურიერმა აღნიშნა, რომ უწყების ჩაბარება შეუძლებელი იყო, რადგან სახლი დაკეტილი იყო და არავინ ცხოვრობდა იქ. შესაბამისად, სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ყოველდღიურ გაზეთში, იმ დროს მოქმედი სსსკ-ის 78-ე მუხლის მიხედვით (იხილეთ, §15).

40. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მთავრობამ არ განმარტა, თუ რატომ არ გაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალწარმოების პირველ ეტაპზე სასამართლო უწყება ორჯერ განმცხადებელს, სანამ საჯარო შეტყობინებას

განახორციელებდა, რითაც დაირღვა სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი (იხილეთ §15). თუმცა, მიუხედავად ამ პროცედურული დარღვევისა, სასამართლო ეჭვობს, რომ მოცემულ საქმეში ეროვნული ორგანოების მიერ დოკუმენტების გაგზავნის ფორმა საკმარისი იყო იმაში დასარწმუნებლად, რომ განმცხადებელი ნამდვილად ინფორმირებული იყო სამართალწარმოების შესახებ (იხილეთ, მაგალითად, *mutatis mutandis*, „ოვუსი თურქეთის წინააღმდეგ“ (*Övüş v. Turkey*), no. 42981/04, §§ 48-51, 13/10/2009; აგრეთვე, იხილეთ *S.C. Raisa M. Shipping S.R.L რუმინეთის წინააღმდეგ (S.C. Raisa M. Shipping S.R.L. v. Romania)*, no. 37576/05, §§ 30-34, 08/01/2013, და „ზავოდნიკი“ (*Zavodnik*), §§ 76-81 ციტირებულია მაღლა).

41. კერძოდ, განმცხადებელმა განაცხადა, რომ იგი იმყოფებოდა რუსეთში იმ დროს და მისმა ყოფილმა მეუღლემ აღნიშნულის შესახებ იცოდა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის სავარაუდო ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, რომელიც ჩართული იყო სამართალწარმოების პროცესში (ზემოთ იხილეთ §9). თუმცა, სასამართლომ არავითარი ძალისხმევა არ გამოიჩინა ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად. ამდენად, მოსარჩელეს, რომელსაც არასოდეს უარუყვია რეგულარული სატელეფონო კონტაქტი განმცხადებელთან, არასოდეს ყოფილა დავალებული მოეწოდებინა დამატებითი ინფორმაცია მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. აღნიშნული ხარვეზი ეწინააღმდეგება სსსკ-ის 71-ე და 210-ე მუხლებს, რომელიც მოვალეობის ჯეროვნად შესრულების პრინციპის მიხედვით, მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას - შეამოწმოს მოსარჩელე მხარის მიერ მიწოდებული მოპასუხე მხარის მისამართის სისწორე (იხილეთ სსსკ-ის მუხლი 71 §1 და §4 და მუხლი 210 §2, ორივე ციტირებულია მაღლა, §15). იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული მისამართი არასწორი აღმოჩნდება, სასამართლოები სარჩელს განუხილველად ტოვებენ (იხილეთ მუხლი 71§4, ციტირებულია მაღლა, §15).

ანალოგიურად, არც ერთი მცდელობა არ განხორციელებულა - დაკავშირებოდნენ ადგილობრივ თვითმმართველობას ან ადგილობრივი პოლიციის განყოფილებას, რათა დაედგინათ განმცხადებლის ადგილსამყოფელი (იხილეთ, მაგალითად, *mutatis mutandis*, „დილიპაკი და კარაკაია“ (*Dilipak and Karakaya*), §§ 83-85 ციტირებულია მაღლა). აღნიშნული საშუალება ასევე ხელმისაწვდომი იყო სასამართლოსთვის სსსკ-ის 73-ე მუხლის მიხედვით (იხილეთ, §15).

42. თბილისის საქალაქო სასამართლოს პასიურობა კიდევ უფრო საეჭვოა, რადგან ეროვნულ სასამართლოებს ასევე შეეძლოთ ეთხოვათ სამართლებრივი დახმარება შესაბამისი წევრი სახელმწიფოსგან, მაგალითად, რუსეთისგან, მინსკის კონვენციის

მიხედვით (იხილეთ §18). ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, სადავო წარმოებაში არსებული საკითხების განსაკუთრებით სენსიტიურ ხასიათს, კერძოდ, განმცხადებლის მშობლის უფლებების შესაძლო შეზღუდვას. ამიტომ, ეროვნულ სასამართლოებს უნდა ემოქმედათ განსაკუთრებული გულისხმიერებით (იხილეთ *mutatis mutandis*, მოთხოვნა „მშობლის მონაწილეობის“ კუთხით, „გლასერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Glaser v. the United Kingdom*), no. 32346/96, § 70, 19/09/2000; აგრეთვე იხილეთ *mutatis mutandis*, მოთხოვნა „გონივრული ვადის“ კუთხით, „ველიკოვი სერბეთის წინააღმდეგ“ (*Veljkov v. Serbia*), no. 23087/07, §§85 და §87, 19/04/2011), რაც მათ ვერ განახორციელეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუდევარი დამოკიდებულება განსაკუთრებით აშკარა იყო მეორე დაუსწრებელი სამართალწარმოების დროს. კერძოდ, სასამართლომ უბრალოდ გააგზავნა უწყება იმ მისამართზე, რომელიც პირველი სამართალწარმოების დროს უკვე უფუნქციოდ იყო მიჩნეული (იხილეთ *mutatis mutandis*, „მიოლაპა ლატვიის წინააღმდეგ“ (*Miholapa v. Latvia*), no. 61655/00, § 28, 31/05/2007). შემდეგ, ეროვნულმა სასამართლომ აირჩია საჯარო შეტყობინების საშუალება, წინასწარ იცოდა რა, რომ ეს მიდგომა არაეფექტური იქნებოდა, თუ დადასტურდებოდა, რომ განმცხადებელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა (შეადარეთ მაღლა ციტირებულ საქმეს - „ვებერს“ (*Weber*) (განჩინება), სადაც განმცხადებელმა იცოდა მის წინააღმდეგ დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ და შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკის თაობაზე).

43. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, როცა ბავშვის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან იმოქმედონ გარკვეული სისწრაფით (იხილეთ „მონორი რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ“ (*Monory v. Romania and Hungary*), no. 71099/01, § 92, 05/04/2005, და, *mutatis mutandis*, მ. და მ. ხორვატიის წინააღმდეგ (*M. And M. v. Croatia*), no. 10161/13, §179, ECHR 2015 (ამონარიდები)). თუმცა სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ სწრაფი სამართალწარმოების მნიშვნელობას, რომელიც ზოგადად საოჯახო პროცესებს ეხება, ესაჭიროებოდა დაუსწრებელი სამართალწარმოების პროცედურული მეთოდი და სასამართლო უწყებების წესების გვერდის ავლა (იხილეთ *mutatis mutandis*, „პ., ც. და ს. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*P., C. and S. v. the United Kingdom*), no. 56547/00, §§98-99, ECHR 2002-VI). ეროვნული სასამართლოების წინაშე დავას არ იწვევდა ის ფაქტი, რომ ლ.გ.-ს გამგზავრება გადაუდებლად აუცილებელი იყო კონკრეტული მიზეზიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებში არსებობდა ცნობა გოგონას სამედიცინო მდგომარეობის შესახებ, ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეაფასეს

აღნიშნული ინფორმაცია. გარდა ამისა, მშობლის უფლებების განუსაზღვრელი შეზღუდვა (იხილეთ, §8) განხორციელდა ისე, რომ ეროვნული სასამართლოების მხრიდან არ ყოფილა რაიმე მცდელობა ბალანსი მონახულიყო მამისა და ქალიშვილის კონკურენტულ ინტერესებს შორის.

44. ამგვარად, სასამართლო არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ სასამართლო უწყებების დაგზავნა და მედიაში მისი გამოქვეყნების შესახებ განჩინებები ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს - უზრუნველყოს სამართალწარმოების სისწრაფე და ეფექტურობა (იხილეთ *mutatis mutandis*, „ზადოვნიკი“ (Zavodnik), §76; „ვებერი“ (Weber) (განჩინება) და „განკინი და სხვები“ (Gankin and Others), §35, ყველა ციტირებულია მაღლა). თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე პროცედურა არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სხვა პროცედურული გარანტიების საზიანოდ, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ (ზემოთ იხილეთ, §34). იმ დროს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო უწყებების დაგზავნის შესაძლებლობა მათი გამოქვეყნების გზით, უნდა მომხდარიყო კეთილსინდისიერად და როგორც უკიდურესი საშუალება (იხილეთ სსსკ-ის 71-ე მუხლის §3 და 78-ე მუხლის §1; ამ კუთხით, აგრეთვე, იხილეთ „მიოლაპა“ (Miholapa) §29 ციტირებულია მაღლა). სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეში ამ წესის ხისტი გამოყენება არყვედა განმცხადებლის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო სამართალწარმოებაში და დაეცვა საკუთარი ინტერესები.

45. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა საკუთარ უფლებაზე, მონაწილეობა მიეღო სასამართლო განხილვაში. უდავო იყო ის ფაქტი, რომ განმცხადებელს ეცნობა სამართალწარმოების შესახებ ნებისმიერი სხვა წყაროდან. უფლებაზე უარის თქმის მთავარი პირობა არის ის, რომ შესაბამისმა პირმა უნდა იცოდეს ასეთი უფლების შესახებ და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების თაობაზე. განმცხადებლის მხრიდან არ იყო უმოქმედობა, რადგან მან უბრალოდ არ იცოდა მისი ყოფილი მეუღლის მხრიდან დაწყებული სამართალწარმოების შესახებ (შეადარეთ „Perihan and Mezopotamya Basın Yayın A.Ş. თურქეთის წინააღმდეგ“ (Perihan and Mezopotamya Basın Yayın A.Ş. v. Turkey), no. 21377/03, §§ 38-39, 21/01/2014).

46. შესაბამისად, კვლავ დასადგენია, ეროვნული კანონმდებლობა საკმარისი განსაზღვრულობით თუ აძლევდა განმცხადებელს შესაძლებლობას, მოცემული საქმე ხელახლა განხილულიყო მისი მონაწილეობით.

(ii) ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, მოცემული საქმე ხელახლა განხილულიყო მისი თანამონაწილეობით

47. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების საშუალების არარსებობა დაუსწრებელი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მოქმედებდა (იხილეთ სსსკ-ის 366-ე მუხლი, §17, ციტირებულია მაღლა). გადაწყვეტილებების გაუქმების პროცედურა ასევე ხელმიუწვდომელი იყო განმცხადებლისთვის, ხანდაზმულობის ვადის გამოყენების გამო (იხილეთ, სსსკ-ის 237-ე მუხლი, §17). სასამართლო ასკვნის, რომ სამართალწარმოების განახლების შესახებ სარჩელის შეტანის 10-დღიანი ვადა გავიდა გაზეთ „24 საათში“ სადავო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ. თუმცა, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მან აღნიშნული ფაქტის შესახებ შეიტყო მხოლოდ 2012 წლის მაისში (ზემოთ იხილეთ, §10).

48. განმცხადებლისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალება იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილებების გაუქმება იმ საფუძველით, რომ იგი მიღებულ იქნა სასამართლო უწყებების არასათანადოდ ჩაბარების შედეგად, სსსკ-ის 422-ე მუხლის მიხედვით (ზემოთ იხილეთ, §17). განმცხადებელმა შეიტანა ასეთი საჩივარი, თუმცა უშედეგოდ. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეტყობინებები კანონიერად განხორციელდა გაზეთში გამოქვეყნების გზით (ზემოთ იხილეთ, §§11-12).

49. სასამართლოს მოსაზრებით, ეროვნული მოსამართლეების ასეთი გადაჭარბებული ფორმალური მიდგომა სასამართლო დოკუმენტების გაგზავნის წესების განმარტებასთან დაკავშირებით არაგონივრული იყო მოცემულ საქმეში (იხილეთ *mutatis mutandis*, „აჟდაჯიჩი“ (Aždajić) §§ 67-71, ციტირებულია მაღლა). საქმის ხელახალი განხილვის პროცესის დროს აშკარა იყო, რომ განმცხადებელი ნამდვილად იმყოფებოდა რუსეთში, როცა ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შესაბამისად, სასამართლოებისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ არც სასამართლო უწყებებს და არც სასამართლო გადაწყვეტილებებს განმცხადებელამდე არ მიუღწევია. ამ გარემოებებში და მინსკის კონვენციის შესახებ არსებული უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით (ზემოთ იხილეთ, §19) იმის დასკვნა, რომ უწყებები განმცხადებელს სათანადოდ ჩაჰბარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში ასახული პროცედურა ფორმალურად იყო დაცული, არაპროპორციულ გავლენას ახდენდა განმცხადებლის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებაზე.

50. სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომელსაც ასევე შეეხნენ ეროვნული სასამართლოები თავიანთ დასაბუთებებში, რომ განმცხადებელს არ მიუწოდებია განახლებული ინფორმაცია მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის შესახებ შესაბამისი

სარეგისტრაციო ორგანოებისთვის. მაშინაც კი, თუ განმცხადებლის ქცევა არ იყო ბოლომდე კეთილსინდისიერი, საქართველოს სასამართლო ორგანოების მიერ აღნიშნული გარემოებისადმი მინიჭებული საუარესო შედეგები, აშკარად არაპროპორციული იყო (იხილეთ *mutatis mutandis*, „კოლოზა“, Colozza, § 32, ციტირებულია მაღლა). სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულ სასამართლოებს აკლდათ გულისხმიერება დაუსწრებელი სამართალწარმოებების დროს, რაც გულისხმობდა იმას, რომ განმცხადებელს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, მოცემული საქმე ხელახლა განხილულიყო მისი მონაწილეობით.

51. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.

აღსრულება

საქმე აღსრულების პროცესშია. სასამართლო ელოდება სახელმწიფოს მიერ სამოქმედო გეგმის/ანგარიშის წარდგენას.

„სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ (*Sturua v. Georgia*)¹⁶

№ 45729/05, § ..., 28 მარტი, 2017 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...”

**სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა (მიუკერძოებელი სასამართლო);
სამართლიანი დაკმაყოფილება: 3 500 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და
3 380 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.**

ფაქტები

¹⁶ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<http://www.supremecourt.ge/information25/>

განმცხადებელი, მიტროფანე სტურუა, საქართველოს მოქალაქეა. დაიბადა 1953 წელს და ცხოვრობს თბილისში. 1999 წელს ის დაინიშნა აბაშის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ ათი წლის ვადით. თუმცა, 2004 წელს მის წინააღმდეგ დისციპლინური საქმისწარმოება და ის დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა „მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს კოლეგიამ“. ბატონმა სტურუამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა „მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოში“ და შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ორივე ინსტანციამ არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი და ძალაში დატოვა თავდაპირველი გადაწყვეტილება. ბატონი სტურუა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ჩიოდა, რომ დისციპლინური საქმისწარმოება მის წინააღმდეგ იყო უსამართლო, 6.1 მუხლის (უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე) დარღვევით განხორციელებული. კერძოდ კი ის ჩიოდა, რომ „მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო“, რომელმაც მისი საჩივარი განიხილა, არ იყო მიუკერძოებელი, რადგანაც მეორე ინსტანციის წესით მისი საქმის განხილვისას მის შემადგენლობაში იყო ის ოთხი მოსამართლე, რომელთაც მისი თანამდებობიდან გაათავისუფლების შესახებ თავდაპირველი გადაწყვეტილება მიიღეს „სადისციპლინო საბჭოს კოლეგიის“ შემადგენლობაში.

სასამართლოს შეფასება (§§ 33-36)

კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განმცხადებლის საჩივრის შესწავლისას სასამართლომ მიუთითა მის მიერ დადგენილ სასამართლოს მიუკერძოებლობის სტანდარტზე, მიუკერძოებლობის შეფასებისას განსახილველ სუბიექტურ და ობიექტურ ტესტზე და მიიჩნია, რომ განმცხადებლის შიში საქმის განმხილველი სადისციპლინო საბჭოს მიკერძოებასთან დაკავშირებით ობიექტურად დასაბუთებული იყო იმ საფუძველით, რომ იმ დროისთვის მოქმედი კანონი ქმნიდა შესაძლებლობას, კონრეტული დისციპლინური საქმის განმხილველ კოლეგიურ ორგანოში პირველი და მეორე ინსტანციის წესით ამ საქმის განხილვისას ერთი და იგივე წევრები ყოფილიყვნენ წარმოდგენილი.

„1. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოითხოვს, რომ მის ფარგლებში მოქცეული სასამართლო იყოს მიუკერძოებელი. მიუკერძოებლობა, ჩვეულებრივ, გულისხმობს წინასწარი აზრის ან მიკერძოების არარსებობას და მისი არსებობა შესაძლებელია სხვადასხვა გზით შემოწმდეს. შესაბამისად, სასამართლო განასხვავებს სუბიექტურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს მოცემულ საქმეში მოცემული მოსამართლის შინაგანი რწმენის დადგენის მცდელობას და ობიექტური მიდგომა, რომელიც გულისხმობს იმის

განსაზღვრას, მან საკმარისი გარანტიები უზრუნველყო თუ არა ამ კუთხით რაიმე სახის ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად (იხილეთ, სხვა მრავალ ორგანოებს შორის, *პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ (Piersack v. Belgium)*, 1 ოქტომბერი, 1982, §30, Series A ნომ. 53). ამ უკანასკნელი მიდგომის თანახმად, გადამწყვეტია, ობიექტურად დასაბუთებადია თუ არა შიში იმის თაობაზე, რომ კონკრეტული მოსამართლე მიუკერძოებლობას მოკლებულია, მიუხედავად მისი რეალური პირადი თვალსაზრისისა (იხილეთ, *ვეტშტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ (Wettstein v. Switzerland)*, ნომ. 33958/96, §44, ECHR 2000-XII). მართლაც, ხშირად შესაძლებელია რთული იყოს ისეთი მტკიცებულების მოპოვება, რომელიც გააბათილებს მოსამართლის პიროვნული მიუკერძოებლობის პრეზუმფციას, თუმცა, ამ კუთხით ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა უზრუნველყოფს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას (იხილეთ, *პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pullar v. the United Kingdom)*, 10 ივნისი, 1996, § 32, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებული 1996-III). სხვა სიტყვებით, სასამართლომ აღიარა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის სირთულე სუბიექტური მიკერძოების საფუძველზე და ამ მიზეზით, უმრავლეს შემთხვევაში წამოწია მიუკერძოებლობის საკითხები ობიექტურ ტესტზე დაყრდნობით. თუმცა, ამ ორ ცნებას შორის არ არსებობს წყალგაუვალი დაყოფა, რადგან, მოსამართლის ქცევამ, შესაძლოა, არა მარტო ხელი შეუწყოს გარე დამკვირვებლის თვალისთვის ობიექტურად დადგენილი ეჭვის წარმოშობას მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (ობიექტური ტესტი), არამედ, შესაძლოა, შეეხოს მის შინაგან რწმენას (სუბიექტური ტესტი) (იხილეთ, *კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus* [დიდი პალატა], ნომ. 73797/01, § 119, ECHR 2005-XIII; და *ოლუჯიჩი (Olujic)*, ციტირებულია მაღლა, § 58).

2. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში, მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ოთხი წევრი პირველად შეიკრიბა კოლეგიის სახით, პირველი ინსტანციის წესით საქმის განმხილველი სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებით, განმცხადებლის მიმართ არსებული დისციპლინური ბრალდების დასაბუთების ხარისხის შესასწავლად. კოლეგიამ ჩაატარა სხდომა, გამოიკვლია ყველა მტკიცებულება და შემდეგ გამოიტანა დასაბუთებული გადაწყვეტილება 2004 წლის 23 დეკემბერს. კერძოდ, დაადგინა განმცხადებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა და დააკისრა დისციპლინური სახდელი - თანამდებობიდან გათავისუფლება (ზემოთ იხილეთ, პარაგრაფი 8). სასამართლოს გადაწყვეტილება მოიცავდა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების განმარტებასა და გამოყენებას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

3. მოგვიანებით, იმავე ოთხმა მოსამართლემ, რომელიც სადისციპლინო საბჭოს რვა მოსამართლისგან შემდგარი პლენარული სხდომის მონაწილე იყო, სააპელაციო გადასინჯვის წესით განიხილა 2004 წლის 23 დეკემბრის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, განმცხადებლის მიერ შესაბამისი კანონის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები. სხვა სიტყვებით, სააპელაციო ინსტანციის დონეზე, იგივე ოთხი მოსამართლე იქნა მოწვეული, რათა ხელახლა სრულად განეხილათ საკუთარი გადაწყვეტილება იმავე საქმეზე, გადაესინჯათ, ხომ არ დაუშვეს რაიმე შეცდომა ფაქტობრივი გარემოებების შეფასების ან სამართლებრივი განმარტების დროს (შეადარეთ, *სან ლეონარდ ბანდ კლუბი (San Leonard Band Club v. Malta)*, ნომ. 77562/01, §§ 61-66, ECHR 2004-IX; *ინდრა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Indra v. Slovakia)*, ნომ. 46845/99, §§ 51-55, 1 თებერვალი, 2005; და *HIT d.d. ნოვა გორიჩა სლოვენის წინააღმდეგ (Nova Gorica v. Slovenia)*, ნომ. 50996/08, §§ 37-42, 5 ივნისი, 2014; შეუპირისპირეთ, *ვარსიკა პოლონეთის წინააღმდეგ (Warsicka v. Poland)*, ნომ. 2065/03, §§ 43-47, 16 იანვარი, 2007, და *ცენტრალური ხმელთაშუა ზღვის განვითარების შეზღუდული კორპორაცია მალტას წინააღმდეგ (Central Mediterranean Development Corporation Limited v. Malta)* (ნომ. 2), ნომ. 18544/08, §§ 35-38, 22 ნოემბერი, 2011). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ რვა წევრისგან შემდგარი სადისციპლინო პლენარული საბჭო, იმ დროს, იღებდა გადაწყვეტილებებს სააპელაციო დონეზე უბრალო უმრავლესობით და მათ თავმჯდომარეს ჰქონდა გამამწყვეტი ხმის უფლება ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში (იხილეთ, საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მუხლი 68 (1), ზემოთ აღნიშნულია მე-17 პარაგრაფში). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნახევარი კოლეგია, მათ შორის თავმჯდომარე, მანამდე იყო ჩართული საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის წესით (იხილეთ, *mutatis mutandis*, *პეროტე პელონი ესპანეთის წინააღმდეგ (Perote Pellon v. Spain)*, ნომ. 45238/99, §§ 50-52, 25 ივლისი, 2002; *კარდონა სერატი ესპანეთის წინააღმდეგ (Cardona Serrat v. Spain)*, ნომ. 38715/06, §§ 37 და 38, 26 ოქტომბერი, 2010; და *ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ (Fazlı Aslaner v. Turkey)*, ნომ. 36073/04, §§ 37-39, 4 მარტი, 2014). იქიდან გამომდინარე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქმის გადასინჯვა ცალსახად შეზღუდული იყო სამართლებრივი საფუძველებით (ზემოთ იხილეთ, მე-12 და მე-18 მუხლები), [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ საკასაციო სასამართლოს გააჩნდა უფლებამოსილება, ეფექტიანად გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი (შეადარეთ, *mutatis mutandis*,

ოლექსანდრ ვოლკოვი (*Oleksandr Volkov*), ციტირებულია მაღლა, §§ 126-128, და შეუპირისპირეთ, *A. Menarini Diagnostics S.r.l. იატლიის წინააღმდეგ (A. Menarini Diagnostics S.r.l. v. Italy)*, ნომ. 43509/08, § 64, 27 სექტემბერი, 2011). [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე გარემოებები საკმარისია იმის დასადგენად, რომ განმცხადებლის შიში სადისციპლინო საბჭოს მიუკერძოებლობის არარსებობასთან დაკავშირებით ობიექტურად დასაბუთებული იყო.

4. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი.“

აღსრულება

გადაწყვეტილების აღსრულება მიმდინარეობს.

„კაკაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*Kakabadze v. Georgia*)¹⁷

№1484/07, 2 ოქტომბერი, 2012 წ.

მუხლი 6.1 (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)

“... წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ...”

სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა 6.3 („ე“) ერთობლიობაში (სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა);

სამართლიანი დაკმაყოფილება: 6 000 ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 3 970 ევრო, 1 330 ფუნტი სტერლინგი და 1 361,20 ლარი ხარჯებისა და დანახარჯების კომპენსაციის სახით.

ფაქტები:

განმცხადებლები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები. 2006 წლის 29 ივნისს, დაახლოებით დღის 14:20 საათზე, განმცხადებლებმა დაიწყეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გარეთ დემონსტრაციის გამართვა, რათა გამოეხატათ მხარდაჭერა შალვა რამიშვილისა და

¹⁷ გადაწყვეტილების სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-139088>

დავით კობრიძის - კერძო სატელევიზიო არხის, „202“-ის მფლობელებისთვის, რომელთა სასამართლო პროცესი იმართებოდა იმ დღეს. პირველი განმცხადებლის მიერ სიტყვის წარმოთქმიდან დაახლოებით 3 წუთში, რამდენიმე ფორმიანი სასამართლოს მანდატური მიუახლოვდა განმცხადებლებს და, სავარაუდოდ, წინასწარი გაფრთხილების ან განმარტების გარეშე, ძალის გამოყენებით მოახდინეს მათი დაკავება. 3 საათის განმავლობაში, განმცხადებლები სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში იყვნენ ჩაკეტილები და არ ჰქონდათ ინფორმაცია დაკავების მიზეზების შესახებ. ამის შემდეგ, პოლიციამ ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანა, სადაც შეიტყვეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის განკარგულების საფუძველზე იყვნენ დაკავებულები. აღნიშნული განკარგულების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, საჯარო და ზეპირი მოსმენის გარეშე, მხოლოდ მანდატურების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 208-ე (§6(1)) მუხლის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებელთა 30 დღით დაპატიმრების შესახებ, ვინაიდან მათ სასამართლოს შენობის შიგნით, ცენტრალურ შესასვლელში, დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, ხელი შეუშალეს სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას და კონკრეტული საქმის განხილვის მიმდინარეობისას ზეწოლა მოახდინეს სასამართლოზე.

2006 წლის 21 ივლისს, განმცხადებლებმა, მხედველობაში მიიღეს რა სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლის მოქმედების შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით და ამტკიცებდნენ რა, რომ მათი დაკავება იყო ადმინისტრაციული სასჯელი, მოითხოვეს, რომ უზენაეს სასამართლოს განეხილა მათი სარჩელი 2006 წლის 29 ივნისის განკარგულების წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის („ასკ“) 279-ე მუხლის თანახმად. ისინი ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ გამოიტანა არასწორი განკარგულება, დასაჯა რა განმცხადებლები სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ხდება სასამართლოს შენობის შიგნით, განმცხადებელთა აქციის ვიდეოჩანაწერი წარმოდგენილ იქნა იმის საჩვენებლად, რომ აქცია გაიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში. აქედან გამომდინარე, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ზემოხსენებული დებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალდებისა და დაპატიმრების ლეგიტიმურ საფუძველად. ისინი შემდგომ აცხადებდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაარღვია სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპი, მიიღო რა

გადაწყვეტილება მხოლოდ მანდატურების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. განმცხადებლებმა ასევე გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ თავმჯდომარემ, სსსკ 208-ე მუხლიდან გამომდინარე, შეარჩია ყველაზე მკაცრი სანქცია. 2006 წლის 26 ივლისს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ზ.მ.-მ განმცხადებელთა დაუსწრებლად განიხილა და არ დააკმაყოფილა მათი 2006 წლის 21 ივლისის სარჩელი. აღნიშნული განხილვის თარიღი განმცხადებლებს წინასწარ არ ეცნობათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის 6.1 და 6.3 „c“ მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები დავობდნენ, რომ მათი დაკავება, გასამართლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს შეურაცხყოფისთვის და მათთვის თავისუფლების აღკვეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის განკარგულებით, იყო უკანონო და უსამართლო.

სასამართლოს შეფასება (§§ 75-78)

„75. პირველ რიგში, სასამართლო ადასტურებს, რომ განმცხადებლებისთვის მსგავსი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის - შეფარდების გათვალისწინებით, სადავო სამართალწარმოება უდავოდ იმსახურებს ყურადღებას კონვენციის მე-6 (§1) მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობის კუთხით - საკითხი, რომელიც მთავრობას არ გაუპროტესტებია (იხ. *Menesheva*, ხსენებული ზემოთ, §§ 94-98).

76. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გზა, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მოისმინა საქმე სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლის თანახმად, ზედაპირული პროცედურით, დახურულ კარს მიღმა, მხოლოდ მანდატურთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე და არ მისცა განმცხადებლებს შესაძლებლობა, დასწრებოდნენ მოსმენას, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის ელემენტარული პროცედურული მოთხოვნების სრულ უარყოფას, როგორებიცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითი პროცესის, დაცვის მომზადებისთვის საჭირო ადეკვატური დროისა და საშუალებების, კვალიფიციური იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებები.

77. სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის განკარგულება იყო მხოლოდ სასამართლოს მანდატურების მიერ

გამოთქმულ ბრალდებათა უპირობო გამეორება და არსად ჩანდა ინციდენტთან დაკავშირებულ გარემოებათა სამართლებრივი განხილვის შედეგები (იხ. *Menesheva*, ხსენებული ზემოთ, §99; *Ziliberberg v. Moldova*, no. 61821/00, §§ 40-42, 1 February 2005; და *Hakobyan and Others*, ხსენებული ზემოთ, §98). სასამართლოს შემფოთების საგანს წარმოადგენს ისიც, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, პრესკონფერენციის დროს, განმცხადებელთა პატიმრობის შესახებ გამოთქმულ ტერმინებს, მან აშკარად ფაქტების ნაჩქარევი შეფასება გააკეთა და გამოხატა აზრი, რომ განმცხადებლები იყვნენ დამნაშავენი, მათთვის ბრალის დამტკიცებამდე (შეად. *Böhmer v. Germany*, no. 37568/97, §§ 54 and 56, 3 October 2002 და *Nešćák v. Slovakia*, no. 65559/01, §§ 88 and 89, 27 February 2007).

78. ზემოხსენებული მოსაზრებები საკმარისია სასამართლოსთვის, რათა მან დაასკვნას, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 (§1) და 6 (§3 „c“) მუხლების დარღვევას.”

აღსრულება

გადაწყვეტილების აღსრულება მიმდინარეობს.

სახელმწიფომ არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ სამართლიანი დაკმაყოფილება გადაიხადა. განმცხადებლები გათავისუფლდნენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად შეიცვალა, რათა განსაზღვრულიყო მანდატურის მიერ პირთა დაკავების უფლებამოსილების ფარგლები, ასევე უზრუნველყოფილიყო დაკავებასთან დაკავშირებული საქმეების ზეპირი მოსმენის განხილვა და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითი სამართალწარმოების პრინციპის დაცვა. ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური პერიოდი შემცირდა 90 დღიდან 15 დღემდე და ეროვნული სასამართლოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, ზოგადად, უფრო მსუბუქ ადმინისტრაციულ სანქციებს იყენებენ, მაგალითად, როგორცაა, ჯარიმა. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს 48 საათის განმავლობაში და განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე საჩივრის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო დებულება, რომელიც შეკრებას ან მანიფესტაციას კრძალავდა საჯარო დაწესებულებისა ან ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის სასამართლო შენობების, შესასვლელიდან 20 მეტრის მანძილზე. 2011 წლის 14 ივლისს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში.

წინამდებარე გადაწყვეტილება ითარგმნა, გამოქვეყნდა და გავრცელდა.